

1973

ՀԱՄԱՅՆՈՒ  
ՇՈՒԳՈՐԺՈՒՄ



ՀԱՄԱՅՆՈՒ 4 1973



# მარტო

სიმონ შაშვიანი



მწვერვალებზე მოჰანს მარტო  
ზამთრის ჩაბალახები...  
მოშრიალდა გაზაფხული  
მწვანე ბაირაღებით.

მეგობარო, მოდი ერთად  
ფრთა ვავშალოთ ოცნების,—  
მოვიაროთ მშობლიური  
ქალაქები, სოფლები;

მოვისმინოთ: ქარაფებზე  
ჩანჩქერების ჩქაფანი,  
მუხნარების,  
უღრანების  
იღუმალი ზღაპარი;

„კაფე-თესე! კაფე-თესე!“—  
შეძახილი გუგულის,  
ბარად—„მრავალჟამიერი“,  
მთაში—„ლილეს“ გუგუნი.

ყური ვუგდოთ, რას ჩურჩულებს  
ჩვენი მიწის წიაღი,  
რას გასძახის მტკვარს არაგვი,  
ენგურს—თერგი, ლიახვი;

რას ლიღინებს ხნულში ლალად  
გაწვართული გუთანი,  
რა მწველი ჰანგებს დასდუღუნებს  
ნაზ ყვავილენს ფუტკარი.

ქრელი ხანძრით მოგიზგიზე  
ვნახოთ ქართლი, კახეთი,  
იმერეთი, ამერეთი,  
ყველა გადასახედი.

ვნახოთ  
მინდვრად,  
ბალში,  
ზვარში  
გარჯა დიდთა, მკირეთა—  
საქართველოს სიხარულად,  
საქართველოს იმედად.

გესმის?—  
ქოერენ მზის სიმები,  
მთიდან მთამდე გაბმული...  
მოდი, ერთად გაგვახაროს  
გაზაფხულმა მამულის.





# «აქუჩა აწაუიანეს სიხარული»



ეს უჩაწვილები 80-100 სკოლის მეთვალყურეა. ლი თეფრაძეაზი არიან, რომელთაც დამრიბა- ზალი მარია ამაროლაქი დავალაზაზი აქითილი რჩავით ისტუმრებს.

ბედნიერი ხარ, ახალგაზრდაჲ! მზრუნველები თავს გახვევიან, რათა არაფერი მოგაკლდეს — სასმელ-საჭმელი, ჩასაცმელ-დასახურავი, სწავლა-განათლება, გართობა-დასვენება. შენ, მართლაც, იფერებ ამ სიყვარულს და ხარობ, იმ მშვენიერ დღეებით, რაც თან ახლავს მოსწავლეობას.

ცხოვრობ ასე მხიარულად, სწავლობ, იზრდები და ემზადები იმისათვის, რომ სამშობლოს ღირსეული მოქალაქე გახდე. კარგად იცი, რასაც ნიშნავს ღირსეული გამოსხიდე კარგი ინჟინერი, ექიმი, ზეინკალი, ხარატი, მექანიზატორი, მევენახე, მეზღვაური, მკერავი... ერთი სიტყვით, — არა მარტო კარგი ოსტატი შენი საქმისა, ეს, რასაკვირველია, აუცილებელია, მაგრამ შრომა მხოლოდ ერთი მხარეა ჩვენი ცხოვრებისა.

ჭემმარტი მოქალაქე ისაა, ვინც თავის ყოველდღიურ აუცილებელ საზრუნავთან ერთად პოულაობს დროს სხვების დასახმარებლად, ხელის გასამართავად, თბილი სიტყვით გასამხნეებლად.

ჩვენს ირგვლივ ყოველთვის შეიძლება ასეთების პოვნა — მარტოხელი მოხუცებისა, ავადმყოფებისა, გულგატეხილებისა.

„იფიქრე ადამიანებისათვის“, — ამბობენ თემურელები და ესწრაფვიან თავიანთ სკოლის უბანში ან საცხოვრებელ ქუჩაზე, ყველგან, სადაც ხელი მიუწვდებათ, რაიმე გააკეთონ, რაიმე იღონონ იმათ სასიკეთოდ, ვისაც უჭირთ.

ახლა თემურელები არათუ ყოველ სკოლაში შეგხვდებით, თითოეულ რაზმსაც შეუძლია თემურელთა საკუთარი გუნდი წარმოგიდგინოთ, ხოლო თითოეული რაზმის დღიურებში, უთუოდ, იპოვნით ჩანაწერებს, რომლებიც თემურელთა საქმეებს ასახავენ.

ზოგან მონათხრობი ძალზე მოკლეა, ზოგანაც საკმაოდ ვრცელი. ეს დამოკიდებულია არა მარტო თემურელთა საქმეების სიდიდეზე, არამედ იმაზეც, თუ ვინ წერს დღიურს. ზოგს შთაბეჭდილების დაწვრილებითი თხრობა უფრო მოსწონს, ზოგი კი უმჯობესად თვლის, რამდენიმე სტრიქონში ჩატიოს გრძელი ამბავი.

უმცროსო მეგობრებო, თქვენს გასაცნობად ჩანაწერებიდან ამოვირჩიეთ მხოლოდ ისინი, რომლებიც უფრო ცოცხლად და შთამბეჭდავად გვიამბობენ თემურელების დღეებზე, მათს განცდებსა და ფიქრებზე, სიხარულსა და ხალველებზე.

პირველი ჩანაწერი 119-ე სკოლიდან

ნაა. იგი ეკუთვნის ნონა არაბულს, იური გაგარინის სახელობის რაზმის საბჭოს თავმჯდომარეს. აი, რაზე მოგვითხრობს დღიური:

„კალერია ივანეს ასულმა მთელი ჩვენი რაზმი თემურელებად გვაქცია. საკვირველი ქალია კალერია. თურქაძე, მასთან თავს ისე ვგრძნობთ, როგორც საკუთარ დედასთან, ან როგორც გულნაზი ხელმძღვანელთან.

დიდი ცხოვრება აქვს გამოვლილი, ამიტომაც არ ელუვა ნაირ-ნაირი ამბები. ჩვენ თვალდაჭყეტილი ვუსმენთ და მერე კარგახანს მის სამყაროში ვრჩებით, ასე რომ, ზოგჯერ კიდევ გვავიწყდება ამოვუტანოთ შაქარი და პური მაღაზიდან, ან წიგნები — ბიბლიოთეკიდან.

1917 წელს კალერია ივანეს ასულს ლენინი უნახავს პეტროგრადში, როდესაც მან ჯავშნოსანიდან წარმოთქვა თავისი ცნობილი სიტყვა. კალერიამ ეს ამბავი ისე აგვიწერა, რომ ყველას გვაუჩოვლებდა და მეტისმეტი განცდით თვლები ცრემლებით გვევსებოდა.

ეს შესანიშნავი ქალი ახლა სრულიად მარტოხელია. ქმარი ადრე დაჰლუპავია, ერთადერთი ვაჟიშვილი კი — სამი წლის წინათ. მაგრამ ვერც უბედურებამ, ვერც სიბერემ იგი ვერ გატეხა. მისი სიმ-



## კალერია

4

აპრილი  
1978

საბავთლოს ალექსანდრე ლეონიძის სახელობის კომპიუტერული ცენტრის მიერ მომზადებულია

გამოდის 1926 წლიდან

საქ. კვ. მ. - ის  
გამომცემლობა





**მამაქალა გონაფვილი 77-ი სკოლის VIII კლასის თეატრალთა რაზმის წევრია. ფოტო გადაღდა. გულია იმ დროს, როდესაც იგი პანსიონარ ვანის ბახტაძეს მუხარაზა გადასცემდა უპელოდა.**

ტკიცე გვაკვირვებს და მაგალითია ჩვენთვის.

თუმცა ამასთან ერთად ისიც ვიცით, რომ, თუ კალერია ივანეს ასული მხნედ არის, ჩვენით არის. მის დღეებს ჩვენ ვავსებთ. იგი ყოველთვის გველოდება და, თქვენ გგონიათ, იმიტომ, რომ მაღაზიაში გავგზავნოთ, ან ბაზარსა და

ში მოგახსენებთ—კალერიამ მთელი რაზმი თემურელეზად გვაქცია. ყოველი ჩვენთაგანი დარწმუნებულია, რომ ბედნიერებას ანიჭებს კალერიას.

ახლა მეორე დღიურს გავცნოთ. მისი ავტორია მე-100 სკოლის მეექვსეკლასელი პიონერი, რაზმის საბჭოს თავმჯდომარე გია კობრიძე. რაზმი ალექსან-

ბიბლიოთეკაში? არა, ეს მისთვის მთავარი არ არის. მას ჩვენი სიყვარული, სითბო სჭირდება და ამისათვის არაფერს იშურებს, ყველაფერს გვაძლევს, რისი მოცემაც შეუძლია.

მისი დახმარებით რამდენიმე პიესა დავდგით. საბჭოთა კავშირის 50 წლისთავის საიუბილეოდ წარმოვადგინეთ „სულიანოვების ოჯახი“. უნდა გენახათ, რა გატაცებით შევუდექით მზადებას. მთელი თავი სუფალი დრო კალერიასთან ვიყავით. გავდიოდით რეპეტიციებს, ვკვრავდით ტანსაცმელს. კალერიასთან შევეკრეთ საიუბილეო საცეკვაო კოსტიუმებიც — ჩვენი მოცეკვავეები თხუთმეტივე რესპუბლიკის ცეკვას წარმოადგენდნენ და გამოწყობა ხომ უნდოდათ...

ახლა კალერია ივანეს ასული ავადაა. ჩვენ თითქმის ყოველ დღე დავდივართ მასთან ახალი ჟურნალ-გაზეთებით და გაზაფხულის მინდვრის ყვავილებით. პოდა, სწორედ ისეა, როგორც თავ-

დრე ჩხეიძის სახელს ატარებს. ჩხეიძე ომამდე ამ სკოლაში სწავლობდა. ახლა კი მოსკოვში ცხოვრობს, მაგრამ რაზემელებთან ახლო მეგობრობა აქვს. მისი გამოგზავნილი სამი ალისფერი ყელსახვევი რაზმის სამ საუკეთესო პიონერს უკეთია. გმირის დედაც ხშირად მონიხულებს ხოლმე პიონერებს, ალბათ, ეს არის მიზეზი, რომ მეცხრე პიონერული რაზმი განსაკუთრებულ ყურადღებას იჩენს ყველაფრისადმი, რაც სამამულო ომთანაა დაკავშირებული. აქაური თემურელეზიც სწორედ ომით დაზარალებულ ოჯახებთან არიან დაახლოებული.

„ვახუშტი ბაგრატიონის ქუჩაზეა ჩვენი სკოლა, — ვკითხულობთ დღიურში. — ამ ქუჩაზე ცხოვრობენ ჩვენი რაზმის წევრი თემურ ტომარაძე და დედა ოლღაც. თემური და ოლღა მეზობლები არიან. ოლღა მარტოხელაა. ერთ დროს ლამაზ გოგო-ბიჭს შეჭაროდა, მაგრამ ვიტალი და ნატაშა ქერჩში დაიღუპნენ, მეუღლე დაეკარგა. ახლა ქალი მოხუცია და ავადმყოფი. სიარული ძალიან უჭირს. როდესაც თავისიანები რძეზე ან პურზე აგზავნიან თემურს, დედა ოლღასთანაც შეივლის ხოლმე. ეს ხდება ყოველდღე, განსაზღვრულ დროს. ასე რომ, ოლღამ იცის, როდის მიუკაკუნებენ კარზე. თემური იმასაც კითხულობს, რაიმე განსაკუთრებული დავალება ხომ არა აქვს დეიდა ოლღას. ეს განსაკუთრებული დავალება ზოგჯერ არის ბაზარში წაყოლა, აფთიაქში შევლა, სარეცხის სამრეცხაოში წალევა და მოტანა. თემურს სხვებიც ეშველებიან: გია სიმონიშვილი და მარინე ჩხაიძე. საღამოობით ისინი დეიდა ოლღას უკითხავენ წიგნებს, ჟურნალ-გაზეთებს. ამ დროს დეიდა ოლღა ნაღვლიანად აღარ გამოიყურება, ალბათ, იმიტომ, რომ ამ შემთხვევაში საშუალება ეძლევა, არა მარტო მიიღოს ყმაწვილებისაგან დახმარება, არამედ თვითონაც დაეხმაროს მათ:





გულმოდგინედ უსწორებს კითხვაში და საუბარში დაშვებულ შეცდომებს, ხანდახან საშინაო დავალებებსაც გადახედავს...”

დაბოლოს, მესამე დღიურს წავიკითხეთ — 77-ე სკოლის პიონერების მიერ შედგენილი. ხელს აწერენ VII<sup>3</sup> კლასის მოსწავლეები: მაყვალა გონაშვილი, მამუკა ჩიჯავაძე და აკაკი ნადარეიშვილი.

„აჩუქე ადამიანებს სიხარული“ — ასეთია თემურელის მოწოდება. რას ვაკეთებთ ჩვენ საამისოდ? რაზმში ვიმსჯელებთ და დავასკვნით, რომ ადამიანებისათვის სიხარულის მინიჭება ბევრნაირად შეიძლება: ვთქვათ, ამხანაგს ორიანი გაასწორებინო, ან იზრუნო ქუჩების სისუფთავისათვის, ან კიდევ, ხელი გაუმართო ადამიანს, ვინც ამას განსაკუთრებით საჭიროებს.

ჩვენთან ასეა: რაზმებში თემურელთა გუნდები შეეკმეინით, რომლებიც ერთად თემურელთა რაზმს შეადგენენ. რაზმმა, პირველყოფლისა, ქუჩები ჩამოიარა და აღრიცხვაზე აიყვანა მარტოხელა მოხუცები. შემდეგ, იმის მიხედვით, თუ ვინ სად ცხოვრობდა და ვის როგორ ეხერხებოდა, გუნდებმა გაინაწილეს მათზე ზრუნვა.

ჩვენ წილად გვევრო ახმეტის ქუჩის № 4-ში მცხოვრები მოხუცი ქალის — შუშანა ძამოევას გაცნობა. დეიდა შუშანას ერთადერთი შვილი ჰყავს, ისიც — სხვა ქალაქში. შუშანას ძალიან უხარია ჩვენი მისვლა, მაგრამ დავალებების მოცემა არ უყვარს...

სისუფთავეზეც ვზრუნავთ. ახლა ველარ შეხვდებით ქუჩაში დაყრილ ნაგავს, მცხოვრებლებს რამდენჯერმე მივუთითეთ და ახლა გვერიდებიან. ერთხელ ერთმა ძიაკაცმა პაპიროსის ნამწვი დააგდო სწორედ ურნის გვერდზე. ჩვენ მოგვეხატრა და ვერაფერი ვუთხარით, ნამწვი კი ჩავაგდეთ, სადაც მისი ადგილი იყო. დაგვინახა და შუწუნდა: „ეს როგორ მომივიდაო“.

ჩვენი რაზმი მოწინავეა პიონერული საკავშირო მარშის ყველა მარშრუტში.



დროდადრო 119-ე სკოლის თამარალაბი პიონერთა ოთახში, გოგალ მაგირაძესთან, იკრიბებიან და იმართება ერთგვარი ანგარიშგება: რა გაკეთდა, რა არის ახალი. მათს ცხოვრებაში.

119-ე სკოლის თამარალაბი კალაჩია ივანეს ასულ თურაძეს სტუმრობან სააბაღოფოში.



77-ე სკოლის წინ პატარა სპარს თამარალთა რაზმი საბავაჯხლოდ წმინდა და ბარავს, რომ უამაღა სპავილაბით მოხატოს და დააფხვინოს.

გამოცხადდა თუ არა მაკულატურის ერთთვიური, პირველ კვირაშივე 300 კილოგრამი შევაროვეთ: განვიხილეთ არკადი გაიდარის „მედროლის ბედი“, დავდგით „თემური და მისი რაზმი“. ფფიქრობთ, მესამე მეოთხედის ბოლოს აღარც ერთი ოროსანი აღარ გვეყოლება და მარჯვენა ფლანგზე დავდგებით“.

აქ ვწყვეტთ დღიურებს, რადგან; ჯერ ერთი, საკმაოდ გაგვიგრძელდა და, მე-

ორეც, — ამ სამი მაგალითიდან ჩანს, როგორ იზრდებიან თემურელები ლენინელებად, ნამდვილ მოქალაქეებად, როგორ სწავლობენ ადამიანებზე ზრუნვას, როგორ ამყარებენ ურთიერთობას საზოგადოებასთან, სკოლის გარე სამყაროსთან.

თეირ სხვაძე.  
ფოტო ა. კობორაშვილისა.



# ვესტნიკის სახორციან

წამყვანი მოთხრობიდან „ლენინის ცხოვრება“

## მარია პრილეპევა

ვლადიმერ ილიას ძეს კვირაში ორჯერ ფოსტა მოსდიოდა. ხანდახან ფოსტალიონი ნახევარი ტომარა წიგნებითა და წერილებით დატვირთული მიადგებოდა ხოლმე კარს. ტომარას იატაკზე გადმოაპირქვავენდა და დღიძახებდა:

— აჰა, იკითხეთ!

სწერდნენ ახლობლები, სწერდნენ ამხანაგები. ირგვლივ, შუშენსკოედან ორმოცდაათი-ასი ვერსის დაშორებით ცხოვრობდნენ სხვა გადასახლებულნი — „ბრძოლის კავშირის“ წევრები. ზოგიერთი უფრო შორსაც სახლობდა, ყველაზე უემურ, ყველაზე ყინულოვან მიდამოებში.

ერთხელ ვლადიმერ ილიას ძემ შინიდან პაკეტი მიიღო. — ანა ილიას ასული უგზავნიდა. პაკეტზე ეხატა პაწაწინა დათქმული ნიშანი. მასთან დამე, მასში რაღაც მნიშვნელოვანი უნდა დებულყო. ასეც იყო. ვლადიმერ ილიას ძემ გაამელავნა საიდუმლო ნაწერი. იგი თხზულება აღმოჩნდა.

წერილში და სწერდა: აი, ნახე, მარქსიზმის ნაცვლად, პიტერში რა აზრები ვრცელდებაო.

ვლადიმერ ილიას ძე კითხვას შეუდგა. სახე თანდათან მოელუშა, წარბები მოეჭმუნა. არ მოეწონა ანა ილიას ასულის მიერ გამოგზავნილი თხზულება. და მას არარუსულ სახელს — „კრედოს“ უწოდებდა. „კრედო“ — ესე იგი მრწამსი, რწმენა, შეხედულებაა.

„შეიქმნა ჯგუფი, რომელიც მარქსიზმის საწინააღმდეგო შეხედულებებს ავრცელებს, — იწერებოდა ანა ილიას ასული. — პატარა ჯგუფია, სამაგიეროდ, ფხიანია. აი, რას ქადაგებს იგი: მუშებს პოლიტიკა არ აინტერესებთ. მუშებს არ სჭირდებათ რევოლუცია. მათ მხოლოდ ერთი

## მხატვარი ლეონტი ზარაფიშვილი.

რამ აინტერესებთ — მეტი გასამრჯელო მიიღონ. ამისათვის კი საჭიროა მეპატრონეებთან, კულაკებსა და მეფაბრიკეებთან მშვიდობიანი თანაცხოვრება“.

ასეთ შეხედულებებს „ეკონომიზმი“ ეწოდებოდა. ვლადიმერ ილიას ძე და მისი ამხანაგები მარქსისტები იყვნენ. და აი, გამოჩნდნენ „ეკონომისტები“.

— რა გავაკეთოთ? — ხმამალა ფიქრობდა ვლადიმერ ილიას ძე და თან ოთახში ბოლთას სცემდა. — მათ ხომ მუშები რევოლუციური ამოცანებისაგან ჩამოშორებამდე მიჰყავთ!

ნადეჟდა კონსტანტინეს ასულმა იცოდა ვლადიმერ ილიას ძის ჩვე-

ულება — ზოგჯერ ხმამალა უყარ. არ უნდა შეუშალოს ხელოვნური ლავე მიაგნებს გადაწყვეტილებას. მართლაც ასე მოხდა: ვლადიმერ ილიას ძემ იარა წინ და უკან, იარა, შუბლზე ხელი გადაისვა და იბოვა გადაწყვეტილება.

— შევიკრიბებით ამხანაგები. განვიზილავთ „კრედოს“. პროტესტს დავწერთ, ხელს მოვაწერთ და თარულად დავგზავნით ფაბრიკა-ქარხნებში.

ვლადიმერ ილიას ძე და ნადეჟდა კონსტანტინეს ასული მაშინვე შეუდგნენ თითოეულ გადასახლებულ ამხანაგთან წერილების წერას. სწერდნენ: მოიმიზნებთ რაიმე, რათა ადგილობრივ ხელისუფლებას დაეთხოვოთ და შეკრებაზე წამოხვიდეთო. მაგრამ სად უნდა შეკრებილიყვნენ? ყველაზე მარჯვე ადგილი შუშენსკოე იყო. და მაინც ვლადიმერ ილიას ძემ სოფელი ერმაკოვსკოე აირჩია. ეს სოფელი შუშენსკოედან 60 ვერსზე მდებარეობდა. იქ ცხოვრობდა გადასახლებული ანატოლი ვანეევი — ვლადიმერ ილიას ძის მეგობარი და თანაშემწე „ბრძოლის კავშირში“ მოღვაწეობისას. იგი ციხეში დასწულდა. ქლეკმა ჩაავლო ჭანგები და ღრღნა დაუწყო. ღრღნიდა სულ უფრო და უფრო მეტი გაშმაგებით. ვანეევი სარეცელზე იყო მიჯაჭვული.

აი, რატომ დანიშნა ვლადიმერ ილიას ძემ შეკრება სოფელ ერმაკოვსკოეში. პოლიტიკურმა გადასახლებულებმა სწორედ იქ მოიყარეს თავი.





ვანევი თეორ ბალიშებზე იწვა. ძვალ-ტყავად ქცეულს. ცხელებისაგან თვალუბანებულს ბალიშზე უფრო თეთრი ფერი ედო. რაოდენ ბედნიერი, რაოდენ გახარებული იყო, რომ საერთო საქმეში იღებდა მონაწილეობას! რაივ სურდა ეცოცხლა. ებრძოლა, ხალხისათვის სარგებლობა მოეტანა!

ვანი ილიას „კრედი“. დაწერეს პროტესტი. ყველა ქალაქის მუშათა წრეებში შორეული ციმბირიდან გაფრინდებოდა რევოლუციური მოწოდება: „ამხანაგებო, ყური არ უგდოთ „ეკონომისტებს“. ჩვენ გვაქვს ერთი გზა — ეს არის რევოლუცია!“

შეკრება რომ დამთავრდა, ვლადიმერ ილიას ძე იქვე დარჩა, ვანევის საწოლთან ჩამოჯდა. ვანევი დადლილიყო. შუბლზე ცივი ოფლის მსჯელი წვეთები ასხდა. თვალები ღრმად ჩაეარდნოდა.

— ნუ წახვალ, — ძლივგასაგონად დაიხურჩულეს გაფრთხილებულმა ბაგეებმა.

ვლადიმერ ილიას ძე არ მიდიოდა. საბრალო ვანევი, მეფის საპყრობილითა და ტყვეობით გატანჯულ-გაწყვეტილი! ვლადიმერ ილიას ძე ხელს უსწამდა გამხდარ ხელზე და თან ესაუბრებოდა, გეგმებს უზიარებდა: მალე გადასახლების ვადა დამთავრდება, მარქსისტულ პარტიას შევქმნით, გამოვუშვებთ ჩვენს, პროლეტარულ გაზეთს, ვიბრძობებთ ცარიზმის წინააღმდეგო.

ვანევი ხარბად, აღტაცებით უსძენდა. სარკმელში აგვისტოს საღამომ შემოიხედა. საღდაც, შორიდან გარმონის სევდისმომგვრელი ხმები მოისმოდა. ვანევი სიცხისაგან გამშრალი ბაგეებით ჩურჩილებდა:

— ვმადლობთ, ვლადიმერ, შენ სიკოცხლე შთამბერებ. მე მწამს...

ეს იყო ვანევის უკანასკნელი ბედნიერი საღამო.

მას შემდეგ სამი კვირაც არ იყო გასული, რომ ვლადიმერ ილიას ძე დაწადედა კონსტანტინეს ასული კვლავ ჩავიდნენ ერმაკოვსკოეში. ამჯერად — ანატოლის დასაფლავებაზე.

— მშვიდობით, ანატოლი, — თქვა ვლადიმერ ილიას ძემ კუბოსთან. — გეფიცებით შენ, რომ ვიქნებით რევოლუციური საქმის ერთგულნი.

ვლადიმერ ილიას ძემ სამარისთვის თუჯის ფილა შეუკვეთა ზედწარწერით:

„ანატოლი ივანეს ძე ვანევი. პოლიტიკური გადასახლებული. გარდაიცვალა 1899 წ. 27 წლისა. მშვიდობა შენს ნემტს, ამხანაგო!“

გოლნისის რაიონის ცენტრიდან 6 კილომეტრის დაშორებით, სოფელ კახკათის ტერიტორიაზე უნდა დაიწყო მუშაობა მუშათა-გამაფრთხილებელი კომბინატი, რომლის მუშაობა, რომორც საბოლოო კავშირის კომუნისტური პარტიის XXIV სერიუმის დირექტივებშია ნათქვამი, მიმდინარე სუთ-წლადის გოლნის — 1975 წლისათვის უნდა დამთავრდეს.

ჩვენი კორპორაციონალი ენაუბრა მუშათა-გამაფრთხილებელი კომბინატის მუშაობის მთავარ ინჟინერს ვახტანგ მახარაძეს და სთხოვა პასუხი გაცეცა რამდენიმე კითხვაზე. მთავარზე ამ საუბრის ჩანაწერი.



# გოლნისი, სარკინო, მახარაძე

— გთხოვთ გაგვაცნოთ მადნეულის „ბიოგრაფია“.

— უფრო სწორი იქნებოდა, გვეთქვა: კახკათის ახალი ისტორია, რამდენადაც მშენებლობის ყოველი დღე მჭიდროდ არის დაკავშირებული ამ სოფლის წარსულთან, აწყობსა და მომავალთან. სწორედ აქ დასცა გეოლოგმა პირველი ბარი ოდითგანვე ბარაქიან მიწას.

ეს იყო დიდი სამამულო ომის დაწყებამდე რამდენიმე წლით ადრე. წინასწარი დაზვერვით, აქ მეტად სასარგებლო წიაღისეულის — ბარიტის საბადოები იყო შეგულებული. გეოლოგთა საძიებელი პარტიის პირველი მონაცემები აშკარად ნაყოფიერი გახლდათ, მაგრამ საბჭოთა აკვირზე გერმანიის მოულოდნელმა თავდასხმამ, მოგვხსენებთ, მთელი ქვეყანა სამხედრო ყაიდაზე გარდაქმნა და, ბუნებრივად, მთელი რიგი დაწყებული სამუშაოები დროებით შეწყდა. ასე მოხდა აქაც. მხოლოდ ომის დამთავრების შემდეგ — 1946 წლიდან გახდა შესაძლებელი ძიების გაგრძელება. სპეციალისტები გულდასმით იკვლევდნენ შერეული ტყით შემოსილი მთების ყოველ მეტრს.

გარკვეულ სიღრმეზე გადაიკვეთა ბარიტ-პოლიმეტალური მადნეებით მდიდარი ძარღვი, რომელიც შეიცავდა ტყვიას, თუთიას და ა. შ. რა თქმა უნდა, ყურადღებაც მათზე გამახვილდა, მაგრამ მაძიებლებს თავიანთი მოვალეობა ამოწურულად არ ჩაუთვლიათ. საქმე ის გახლდათ, რომ გამოკვლევები უფრო მეტს ჰპირდებოდნენ მათ. ვარაუდიც გამართლდა. 1950 წლის დასასრულისათვის გამოჩნდა სპილენძის მდიდარი ფენა, რომლის საფუძველზე დაიწყო გამამდიდრებელი კომბინატის დაპროექტება.

— როდის დამთავრდა იგი?  
— 1967 წელს.  
— რატომ გაჭიანურდა ასე?  
— არა, არ გაჭიანურებულა. თვითონ წიაღისეულმა შეიტანა კორექტივები კომბინატის პირველ ვარიანტში. თავიდანვე იგი დღევანდელთან შედარებით ოთხჯერ ნაკლები სიმძლავრისა იყო გათვალისწინებული. შემდეგ გამოირკვა, რომ მადანი უფრო დიდი რაოდენობისა იყო, ვიდრე ეგონათ. ამიტომ სპეციალისტები იძულებული იყვნენ რამდენჯერმე გადაეკეთებინათ ადრე





თათვის გარკვეული საყოფაცხოვრებო პირობებიც უნდა გვქონდეს შექმნილი.

— თუ ეს დღეისთვის მხოლოდ საფიქრალია და მეტი არაფერი, მაშინ გაჭირდება სასურველის განხორციელება.

— საფიქრალი ჩვენ ყოველთვის გვექნება, რაც შეეხება რეალურს, ახლა ჩვენთან ასეთი სურათია: კარიერის მომზადება, რაც ერთ-ერთი მთავარი პრობლემაა, უკვე მთავრდება. შენდება ყველა ძირითადი ობიექტი, მათ შორის — გამამდიდრებელი ფაბრიკის ცალკეული კორპუსები, საყოფაცხოვრებო მომსახურების კომბინატი, ადმინისტრაციული სახლი. დამთავრდა კლუბის მშენებლობა, რომელიც რამდენიმე ასეულ კაცს დაიტევს. იგი კეთილმოწყობილია და ჩვენ ახალმოსახლეების გართობის, გონივრული დასვენების კერად უნდა იქცეს. ავაგეთ სკოლის ტიპური შენობა, რომელშიც ჩვენი მომავალი ცვლა ისწავლის.

— რას მისცემს მადნეულის კომბინატი ქვეყანას?

— იგი ძირითადად ელექტროტექნიკურ მრეწველობას მოემსახურება, მიაწვდის სპილენძის ნედლეულს, რომელსაც დღეისათვის დიდი მნიშვნელობა აქვს.

— თქვენ ადგილზე მიიღებთ...

— ჭერჭერობით მხოლოდ კონცენტრატებს, მაგრამ ამჟამად მადნეულში შექმნილია საცდელი საამქროები, რომლებიც საბჭოთა კავშირის სხვადასხვა სამეცნიერო-კვლევით ინსტი-

დამტკიცებული პროექტი, რომელმაც სრულყოფილი სახე, როგორც უკვე ვთქვით, ამ ექვსი წლის წინათ მიიღო.

— რა მდგომარეობაა ამჟამად მშენებლობაზე?

— ამ კითხვაზე პასუხის გაცემა ცოტა შორიდან მოგვიწევს. კომბინატს დიდძალი მუშახელი დასჭირდება. მხოლოდ ბოლნისისა და მასთან ახლო მდებარე რაიონები ვერ უზრუნველყოფენ საჭირო კადრებით. ამისთვის მთელი რესპუბლიკის დახმარება დაგვეჭირდება. აუცილებელი იქნება ჩამოსულთა საცხოვრებელი ბინებით დაკმაყოფილება. ამისთვის კაზრეთში უნდა აშენდეს ერთი პატარა ქალაქი, რომელშიც 25 ათასმა მშრომელმა უნდა იცხოვროს. ასეთ დიდ დასახლებას, ცხაღია, დასჭირდება, აგრეთვე, საყოფაცხოვრებო, კულტურულ-მასობრივი ღონისძიებების ჩასატარებელი ობიექტები, სკოლები, საავადმყოფო. გეგმით, მშენებლობის პირველი რიგი უნდა დამთავრდეს მომავალი წლის ბოლოს. ამ დროისათვის მშრომელ-



— აქ მადანი ისეთ ელემენტსაა, რომ ღია წესით დამუშავებისას მუშაობას იძლევა. ეს ნიშნავს: არ დაგვეჭირდება მალარობი, მიწის სიღრმეში შრომა. მთებს უკვე მოვაცილეთ გარკვეული ფენა, ესე იგი გავასუფთავეთ ჩვეულებრივი ნიაღვრისაგან და მაშინვე გამოჩნდა სპილენძნარევი ქანების სპეციფიკური ფერი. ასეთი ტიპის კარიერების დამუშავება კი გაცილებით იაფი ჯდება, იზრდება შრომის ნაყოფიერებაც.

— ეს ამ ადგილებისთვის თითქმის ახალი საქმეა, მაგრამ აქვეა სოფელი ფოლადაური. როგორ ფიქრობთ, ჩვენი წინაპრების ისტორიაზეც ხომ არ მიგვანიშნებს იგი?

— რა თქმა უნდა. უფრო მეტს გეტყვით. არა თუ ფოლადაური, ძალიან ახლოსაა სარკინითიც. ცნობილია, რომ ყოველ დასახლებულ პუნქტს სახელს რაღაც მისთვის დამახასიათებელი ნიშნის მიხედვით არქმევდნენ. არქეოლოგების აზრით, ამ ადგილებში ჩვენი წინაპრები, რასაკვირველია, პრიმიტიული წესით, ფართო მასშტაბით ამუშავებდნენ მადანს. ამის დამადასტურებელი ფაქტებიც მრავლად მოგვეპოვება. მიწის სამუშაოების შესრულებისას ხშირად ვპოულობთ ძველ ქურებს. მადნის დამუშავების ნარჩენებს წიდას. რადგან წარმოება იყო, ბუნებრივია, ნედლეულიც უნდა ყოფილიყო. ოღონდ ეგ არის — სპეციალისტების აზრით, მადანი კაზრეთში არ ყოფილა ნაპოვნი. იგი სწორედ



ტუტებთან ერთად კონცენტრატების ადგილობრივ დამუშავების ტექნოლოგიის სრულყოფაზე მუშაობენ. ცდების შედეგები გვარწმუნებს, რომ უახლოეს ხანში ჩვენ აქვე მივიღებთ მეტალურგიულ სპილენძს, სპილენძის ფხვნილს.

— რა უპირატესობა აქვს მადნეულს მისხავე მონათესავე ობიექტებთან შედარებით?

— მეტად არსებითი: ყველაზე მომგებია.

— რა მხრივ?

მეზობელ სოფლებიდან შემოჰქონდათ.

ასეა თუ ისე, ჩვენი კომბინატის არსებობა კლდეზე ამოსულ ხეს როდესაც ვაგვს: ვაგრძელებთ წინაპართა სახელოვან ტრადიციას.

— რამდენადაც ვიცით, მიმდინარე სამუშაოები წამთარში ერთგვარად შენეულა. ახლა უკვე გაუაფხუვლია. ამჟამად რა არის თქვენი მთავარი საზრუნავი?

— ამ კითხვაზე ნაწილობრივ ადრეც გიპასუხეთ. მაგრამ, ჩანს, რაღაც



გამოგვჩა, ჩემი აზრით, ძალზე არსებითი. ბოლნისელებს წლების მანძილზე უწყობა აწუხებდათ. გადავწყვიტეთ ამ მდგომარეობის გამოსწორება. ჩვენი დასახლებისა და რაიონული ცენტრისთვის შორეული სოფლიდან გამოგვყავს წყაროს წყალი. თუ მასზე მოთხოვნილებას გა-

ცილებით მეტი მაღალკვალიფიციური სპეციალისტები დაგვჭირდება. აქ სამუშაოც ბევრი იქნება და თავის გამოსაჩენიც... იქნება ასპარეზი მშობლიური ქვეყნისადმი ერთგულების დასამტკიცებლად. უნარიან სპეციალისტთა მცირე ნაწილის მოწვევა უთუოდ დაგვჭირდება, მაგრამ კომ-

ლი დაზგის მემანქანე კაპანაძე, მძღოლები ხაჩატუროვი, ალიევი. **ეროვნული** სრულიად ყმაწვილი მოვიდეთ **ქვეყნისათვის** თან ელვარდ გურჯიშვილი. თავიდანვე იმუყაითა და ძალიან მალე მოიპოვა კოლექტივის სიყვარული. ამიტომ იყო, რომ ელვარდი თანამოსაქმეებმა საქართველოს სსრ უმაღლესი საბჭოს დეპუტატად აირჩიეს. ახლა იგი მაღალკვალიფიციური სპეციალისტია, ფლოტატორზე მომუშავეთა ბრიგადის მეთაურობს.

— დაბოლოს, ტრადიციული კითხვა: რას უსურვებდით ჩვენს ნორჩ მკითხველებს?

— ერთხელ უკვე ვთქვი, რომ მადნეულის სამთო-გამამდიდრებელი კომბინატი ცარიელ ადგილზე არ აღმოცენებულა, წინაპრების მიერ დაწყებული საქმის გაგრძელებაა-მეთქი. ამიტომაც, ნორჩებს ვუსურვებ მშობლიური ქვეყნის ისტორიის სიყ-

**მადნის მოსაპოვებელ კარიერა**  
**მასრულაგულია**



**კაბური მავრი მინის საშუაოაბი.**

ვითვალისწინებთ, თამამად შეიძლება ვთქვათ, რომ წყალსადენი ჩვენი ერთ-ერთი მთავარი საზრუნავია.

სათავე ნაგებობის მშენებლობა უკვე დაიწყო, გვინდა მთელი კომპლექსი უახლოეს დროში დავამთავროთ, თუმცა საქმე დიდ სიძნელებთან გვაქვს, წყალსადენის ოცდაცამეტკილომეტრიანი ტრასა უაღრესად ძნელ, მთავორიან ადგილებზე გადის, მაგრამ დაბრკოლების დაძლევის იმედი გვაქვს. მშენებლობაზე მეტად ენერგიული, მუყაითი ხალხი შრომობს. ამასთან საქმით რაოდენობით გვაქვს ტექნიკა: მძლავრი ბულდოზერები, ტრაქტორები, გაძლიერებული წვეის მანქანები.

მშენებლობის დამთავრების შემდეგ წყალსადენი მოსახლეობას წამში ხუთას ორმოც ლიტრ წყალს მიაწვდის.

— ყოველ მნიშვნელოვან საქმეში აქტიურად მონაწილეობს ჩვენი ახალგაზრდობა. რას იტყოდით მადნეულელ ქალიშვილებსა და ჯაბუკებზე? საერთოდ, რას ისურვებდით რესპუბლიკის მუშათა კლასის საიმედო ცვლისაგან?

— თამამად შემიძლია ვთქვა ერთი რამ: ახალგაზრდობის შემართება, მისი ენერგია და მონდომება ჩვენი მშენებლობის ყოველ უბანს ეტყობა. მომავალში კი უფრო უნდა გამოჩნდეს: ამის თქმის საბაბიც მაქვს: დღეისათვის კადრების ნაკლებობას არ განვიცდით. მერმისს, როცა მშენებლობა დამთავრდება და კომბინატი სრული ძალით ამუშავდება, გა-

**მიმდინარე ნალ მანანალობა**



**მანათი ლაინარჯაბა.**

ბინატის წინსვლასა და გაძლიერებაში მთავარი როლი მაინც რესპუბლიკის ახალგაზრდობამ უნდა შეასრულოს. იქამდე მთელი სამი წელი დაგვრჩა და, იმედი გვაქვს, რომ ჩვენი ნიჭიერი ქალიშვილები და ჯაბუკები ნაყოფიერად გამოიყენებენ ამ დროს, მოვლენ ჩვენთან ჩამოყალიბებულ, საიმედო სპეციალისტებად.

— თქვენთან ახლაც ბევრია სამაგალითო მშრომელი. რას გვტყვი მათზე?

— კარგის მეტს არაფერს. შეუძლებელია ყმაყოფილი არ იყო ადამიანებით, რომლებსაც არც ენერგია აკლიათ, არც მონდომება საერთო-სახალხო საქმის გამარჯვებისთვის. თითოეული მათგანი დიდი გადაჭარბებით ასრულებს დავალებას, ნახელავიც მუდამ უხიჩო აქვთ.

შრომაც უფასდებათ. ბარტზე მომუშავეთა ბრიგადის ხელმძღვანელი ზურაბ ნემსაძე ნაყოფიერი გარჯისთვის შრომის წითელი დროშის ორდენით არის დაჯილდოებული. ასევე ბეჭითად იღვწიან მექანიზატორები: ნაუმენკო, ბარანი, ჩუიკოვი, საბურ-

ვარულს, ჯანმრთელობას და აუცილებლად კარგ სწავლას, რათა შესძლონ ახალი მადნების აღმოჩენა, უფრო მძლავრი საწარმოების შექმნა, ერთი სიტყვით — ღირსეულ მოქალაქეებად აღზრდას.

საუბარი ჩაიწერა რ. ძირიანმა.





# კახეთის ხელისუფალი

ს უ ლ ხ ა ნ ა ბ ლ ე ლ ა ნ ი

მტრედების გუნდს აუვისია  
თბილისის ცა — ბროლის სარკე.  
ორი კარგი მეგობარი  
მიაბიჯებს სკოლისაკენ.

მზე დაჰხარით მთაწმინდიდან, —  
ბრწყინავს დილა ორშაბათის.  
აი, სკოლაც — ჭადრის ტევრში  
აღმართული სკოლა მათი.

აირბინეს ფართო კიბე  
და ზარის ხმა ისმის კიდეც.



დღეს პირველი გაკვეთილი  
ქართულია, სუფთა წერა...  
მეგობრებმა რვეულები  
გადაშალეს მერხზე ხელად.  
უცებ კახას ელდა ეცა,  
მოერია ცრემლი თვალში:  
თავის ლურჯი კალმისტარი  
დარჩენოდა თურმე სახლში.  
მაგრამ ნანამ გაუღიმა:  
— მე ორი მაქვს, აი, ნახე!  
მყისვე სიხარულისაგან  
გაუბრწყინდა კახას სახე.  
ნანამ რატომ მოიწყინა,  
რისთვის შეპკრა წარბი უცებ? —  
გაკვირვებით,  
გაოცებით,  
კახას ხელისგულზე უცქერს.  
კოჟრი არი?  
კოჟრს, რომ არ ჰგავს,  
სულ სხვა არის,  
წყლულს ჰგავს უფრო,  
და როდია გასაკვირი,  
მის გულს შიში დაეუფლოს.  
დიახ, შიში! შეკრთა ერთობ, —  
ნეტავ, ვისგან გადაედო!  
მერე, ყველას გასაკვირად,  
ხმას სიმკაცრე გაურია:  
— ამ ხელებით მოსვლა ჩვენთან  
დიდი დანაშაულია!  
— რაო? — კახა აიმრიზა,  
უმზერს ნანას დაუნდობლად...  
ეგრ ისვენებს, მის საყვარელ  
მერხზე ეკლებს რა უნდოდა?!  
აქ რა არის ცუდი, აბა,  
სულ ასე აქვს ხელი პაპას!  
გუშინ მასთან ერთად ჭრიდა —  
მოიტანეს შეშაც ტყიდან...  
და იღება კლასის კარი,  
მზე ფანჯრებში სხივებს აქსოვს  
და აღმზრდელი, თმაჭადარა,  
დადგა ნანას გვერდით, ახლოს.

გადაუსვა თავზე ხელი,  
გადაუსვა თბილად, ნახსად  
— ხომ კარგია აისუფნოვე?  
გადახედა გიას, ზახას.  
ნანა ფეხზე წამოიჭრა,  
თქვა, რაც ჰქონდა გასამხელი  
— მგონი კახას ხელისგულზე  
გასჩენია რაღაც სენი.  
— ნუთუ მართლა? აბა ვნახოთ,  
ხმა გაისმა დამრიგებლის.  
ადგა კახა, მეგობრები  
შეჰყურებდნენ გარინდებით  
წესიერი. ზრდილზე, ზრდილი.  
მასწავლებელს კახაც უყვარს



კარგი ბიჭის ხელისგულებს,  
უმზერს როგორც გაშლილ რუკას  
— პატარებო, წერაქვს, ნაჯახს,  
თოხს თუ ნამგალს, განურჩევლად,  
ვინც კი ხმარობს, ძალას ხარჯავს,  
ხელზე კოჟრი გაუნდება.  
სანამ კოჟრი გაჩნდებოდეს,  
ჯერ ასეთი ჩნდება „წყლული“  
და საშიში სულ არ არის  
კახაბერის ხელისგული.  
შრომა ვის არ ასახელებს,  
თავზე ადგას მამულს ნათლად, —  
და მალლა სწევს კახას ხელებს,  
მთელი კლასის დასანახად

მხატვარი  
დინიბრი ერისთავი.





# მარქსის მკვიდრი

ზაქარია ზაქარია

ფანტასტიკური მოთხრობა

მხატვარი თ. სამსონაძე.

## თავი პირველი

გაზაფხულის ერთ დღეს მთელი მსოფლიო ააღაპარა უცნაურმა ამბავმა: დედამიწაზე დაგროვილი საომარი იარაღის მარაგი და სამხედრო ქარხნები რამდენიმე წუთში ნაცარტუტად იქცნენ. მსოფლიოში ერთბაშად გაქრა ყველა სახეობის იარაღი, არ დარჩენილა უბრალო სანადირო თოფიც კი. მომაკვდინებელი ტვირთისგან უვნებლად განთავისუფლებულმა პლანეტამ მშვიდად ამოისუნთქა. მსოფლიოს პროგრესულმა ადამიანებმა ეს დღე კაცობრიობის ბედნიერების დღესასწაულად გამოაცხადეს. ზოგიერთმა სახელმწიფომ კვლავ სცადა შეიარაღება, მაგრამ სამხედრო დაკვეთის მიღებისთანავე უჩინარმა ძალამ ქარხნები ისევ ნანგრევებად აქცია. პაერში, წყალში, ხმელეთსა და მიწის სიღრმეში — ყველგან ერთნაირად მოქმედებდა კეთილი ძალა. მისი მოქმედების და წარმოშობის პრინციპი კი არავინ იცოდა. ყველა ჰიპოთეზა, რომელიც მსოფლიოში სახელგანთქმულმა მეცნიერებმა წამოაყენეს, მცდარი იყო. კამათი გრძელდებოდა... სიმართლე მხოლოდ რამდენიმე კაცმა იცოდა, მაგრამ ისინი ჯერ კოსმოსში იყვნენ, ამიტომ სჯობს თავიდან დავიწყოთ...

ოთარ კობიძე ვიდეოფონის სიგნალმა გამოადვიდა... აპარატი ჩართო. ეკრანი აციმციმდა, მაგრამ გამოსახულება არ ჩანდა.

— ოთარი გისმენთ!  
 — ბატონო ოთარ, ქარხნიდან გელაპარაკებით: გაქცამერებში წნევამ მაქსიმუმს გადააქარბა, საკვანძურ წახნული ძარია მოსალოდნელი, ვერაფერი ვიღონეთ! შეზღუდითესა  
 — დაუყოვნებლივ გამორთეთ მთელი ქსელი, ხალხი გაიყვანეთ. ახლავე მოვალ.

მალე ოთარი ავტომობილში იჯდა და მთელი სისწრაფით მიქროდა ბეტონირებულ გზაზე. „მანც, რას უნდა გამოეწვია წნევის მომატება? — გაიფიქრა და ავტომანქანიდან სცადა ქარხანასთან დაკავშირება, მაგრამ ამაოდ. — ნუთუ უბედურება უკვე მოხდა?“ — სიჩქარეს უმატა. გზის ქვემოთ უქიდგაგო ზღვა ბორგავდა... ღრუბლებიდან გამოცურებული მთვარე წყალში ტივტივებდა, აქოჩრებული ტალღების უწყვეტი რიგები კი ნაპირისკენ მოემართებოდნენ... ანაზღად გზაზე კაცი გამოჩნდა. ხელში სხივური ფანარი ეჭირა და მანქანისკენ იუყრებოდა. როცა ავტომობილი კაცს გაუსწორდა, მის ხელში წამიერად იფეთქა თეთრმა კაშკაშა სინათლემ. მანქანამ ერთბაშად დაჰკარგა სიჩქარე და გაჩერდა. ოთარმა მანქანის კარი გააღო. სწორედ ამ დროს უცნობმა ლურჯი სინათლე მიანათა და ოთარმა გრძნობა დაკარგა...

დამხვედურმა ავტომობილის შუქი გამორთო და ჩუმად დაიძახა:

— ჯიმ!

ავტომობილთან მეორე კაცმა მოიბრინა.

— აბა, სწრაფად!

ოთარი გზის გაღმა მდგარ კონუსისებრ გრძელ მანქანაში ჩასვეს. ერთი საჭეს მიუჯდა, მეორე კი ოთარის

გვერდით დაჯდა. მანქანა გზაზე გამოვიდა და, როცა სიჩქარემ ხუთას კილომეტრს მიაღწია, ფრთები გამოიქცა და ჰაერში აიჭრა. იგი ერთხანს მიფრინავდა, მერე საჭესთან მჯდომმა თითი ღილაკს დააჭირა და მანქანა სწრაფად დაეშვა ზღვისაკენ, ზედ ზედაპირთან ფრთები შეიკეცა, ისარივით შეიჭრა წყალში და მსუბუქად გასრიალდა ზღვის მრუმე სივრცეში.

\* \* \*

ოთარ კობიძეს გამოედვიდა და თვალი შეავლო მუხის ხის ნაჭრებით მოპირკეთებულ ჯერს, საიდანაც უხილავი სინათლის წყარო მოთეთრო მქრქალ სხივებს აფრქვედა. „ვერაფერი გამიგია, რა მოხდა?!“ — გაიფიქრა ოთარმა, რომელსაც ოდნავ თავი უბრუოდა, საფეთქლები სტეხდა... მდიდრულად მოწყობილ სასტუმრო ოთახში იყო. მის გვერდით ვიდეოფონი იდგა, მარცხნივ კარი იყო. ადგა, გააღო კარი და ნათელ ჰოლში გავიდა, იქიდან კი ჯერ გემოვნებით მოწყობილ დიდ სამუშაო კაბინეტში მოხვდა, მერე — საძინებელ ოთახში, ბოლოს კი სააბაზანოში. იქ ცივი შხაპი მიიღო და სააბაზანოდან გამოსულმა მხნეობა იგრძნო, თავის ტკივილიც გაუყურდა. თითქოს მთელი ორგანიზმი ისევ შეიჭრა და ენერგია აღუდგა. უცებ გახვედა: „სადა ვარ? რა მოხდა?!“ — საზარელმა აზრმა გაუელვა და ხმამაღლა წამოიძახა: „მომიტაცეს?!“ ერთხანს უძრავად იდგა, მერე თავისთავს



შეეკითხა: „მერე სად არიან, რატომ არ მომაკითხეს?“  
გარეთ გასასვლელ კარს ვერ მიაგნო. პირველ ოთახში გავიდა და კედელზე მიმაგრებულ ლილავს დაუფიქრებლად დააჭირა თითი. მარცხენა მხარეს კედელი ოდნავ შეტოკდა და უხმაურად მოშორდა კუთხეს. ახლა კედელი გამჭვირვალე მინა იყო. მინის იქით წყალი ლივივებდა. ნაირ-ნაირად ირწვოდნენ უჩინარ რიტმს აყოლილი მოშავო, ყავისფერი, ლურჯი მცენარეები. მათ გვერდით ირიბად შემოჭრილი მზის სხივები ულამაზეს ფერთა ციალს ქმნიდნენ. უზარმაზარი ფიკუსი ნიჟარებსა და სიბ ქვებში ჩაფესვებულიყო და ცისკენ აღმართულიყო. შორს მუჭი ღრმულები მოჩანდა და უცნობ მცენარეთა ჭუნგლების მსგავსი ტყე იწყებოდა. ერთმანეთს გადახლართულ წყალქვეშა ტყეებში სხარტად დასრიალებდნენ თევზები. ოთარი შუბლით მიეყრდნო მინას. უცნაური ღიღი თევზი კედელს მიუახლოვდა და ღია, თეთრ-გარსოვანი თვალებით დაიწყო ყურება.

„მინც სად ჯანდაბაში ვარ? წყალქვეშა სახლში? რატომ არავინ მაკითხავს?“ — ნერვიულობდა ოთარი. ოთახში გამომწვევდულმა კვლავ ჭერს ახედა. ახლა იგი მთლიანი იყო და სინათლეს არ ასხივებდა. ეტყობოდა, როცა კედელი დახურული იყო, ოთახი მხოლოდ მაშინ ღებულყოფდა ჭერიდან სინათლეს სხივებზემკრებ-გამაძლიერებელი მინით, საიდანაც გრილი ჰაერი იჭრებოდა... ოთარი სავარძელში ჩაეშვა და ახლა შეამჩნია ვიდეოფონი. აპარატი ჩართო. აციმციმებულ ეკრანზე რკინის კაცი გამოჩნდა.

— რობოტი როქსი გისმენთ, სერ!

— მალაპარაკეთ ადამიანთან!

— ახლა აქ არავინ გახლავთ, სერ!

„დასწყევლოს ღმერთმა! ეს რა ხდება ჩემს თავს?“

— სად ვიმყოფები და როდის შეიძლება ადამიანთან საუბარი? — იკითხა ოთარმა.

— მოგახსენებთ, სერ! თქვენ ხართ ოკეანის წყალქვეშა ქალაქ ნერეიდაში. ქალაქის მერი გახლავთ დოქტორი სტრობსი, რომელიც თვრამეტ საათამდე ქალაქში არ იქნება. ახლა ჩვენი დროით თქვესმეტი საათი და 40 წუთია.

— გმადლობთ, მისტერ როქს!

— კარგად ბრძანდებოდეთ, სერ!

ოთარმა ვიდეოფონი გამორთო.

„ნერეიდა? პირველად მესმის... ეს სტრობსიც ვილა შემაკია?“

ოთარი დაფიქრებული გასცქეროდა ჯადოსნურ სამყაროს. იგი ოცდაათი წლისა იყო. ხმელ-ხმელი, ბრგე ვაუკაცი უფრო სპორტსმენს ჰგავდა, ვიდრე მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს. იგი კოსმოსურმა პრობლემებმა სკოლის მერხიდანვე გაიტაცა და სწავლა კოსმოსურ ფაკულტეტზე განაგრძო. განსაკუთრებით ნიჭიერმა სტუდენტმა თავიდანვე მიიქცია პროფესორ-მასწავლებელთა ყურადღება. ოცდასამი წლისა იყო, როცა მექანიკურ მეცნიერებათა დოქტორის ხარისხი მიენიჭა ნაშრომისათვის „სიცოცხლის მანქანის პროექტი“. მერე თვითონ ჩაუდგა სათავეში თავისი პროექტის განხორციელებას და სამი წლის დაძაბული მუშაობის შედეგად შექმნა მანქანა, რომლითაც მთვარის გრუნტისაგან მიიღებოდა უანგბადი და წყალი. მისი ხელმძღვანელობით მთვარეზე პირველად შეიქმნა ორანჟერეა მიკროქალაქით, ხელოვნური ჰავით, წყალსაცავებით, ასტრონომიული, გეოლოგიური და ბიოლოგიური ლაბორატორიებითა და ქარხნებით. ოთარ კობიძე არჩეული იყო კოსმოსის ათვისებისა და მშვიდობიანი გამოყენების მსოფლიო სამეცნიერო საბჭოს წევრად, მსოფლიოში ცნობილ თითქმის

ყველა აკადემიის ნამდვილ წევრად. ახლა მუშაობდა უატმოსფერო პლანეტებზე, ექოსისტემის, ენერგეტიკის მოსფეროს ხელოვნურ შექმნაზე.

გაისმა ვიდეოფონის სიგნალი, ოთარი აპარატთან მივიდა. ეკრანზე გამოჩნდა გამხდარი, სიმპათიური მამაკაცი.

— ოთარ კობიძე გისმენთ!

— მოხარული ვარ, მისტერ ოთარ, რომ აქ გხედავთ, — გაისმა მამაკაცის ლითონივით მუდერი ხმა. — გელაპარაკებათ დოქტორი სტრობსი. მისტერ ოთარ, თქვენი ნებართვით გესტუმრებით.

ოთარი გაბრაზდა, მაგრამ თავი შეიკავა და მშვიდად მიუგო:

— დიდად მასიამოვნებთ, მისტერ სტრობს.

— გმადლობთ, სერ!

ოთარმა აპარატი გამორთო და წყლის სივრცეს გახედა. ირგვლივ სიჩუმე იყო. „ეს სტუმრობა კარგია — რაღაც მინც გაირკვევა. მთავარია, სიმტკიცე შევიწარმოო და ბრძოლაზე ხელი არ ავიღო. ყოველი მდგომარეობიდან არის გამოსავალი, ოღონდ გზის მიგნებაა საჭირო“. დიდი თევზი ოთახში იყურებოდა. იგი ოდნავ ამოძრავებდა ფარფლებს და ერთ ადგილზე ტორტმანებდა. მერე ერთბაშად შეკრთა და სწრაფად გაუჩინარდა. უზარმაზარი ზვიგენი გამოჩნდა. როცა გვერდზე გადაინხრებოდა, მზის სხივებზე წამიერად გაიფლავებდა მისი თეთრ-მოყვითალო მუცელი. იგი ტყის პირას მიცურდა, ენერგიულად გაიქნა კული და წყლის მარუმე სივრცეს შეერია. ოთახში ზარმა დაიწვრიალა. მოპირდაპირე მხარეს კედელზე ეკრანი აინთო და შავ კოსტიუმში გამოწყობილი ჯალარა კაცი გამოჩნდა. კარი ავტომატურად გაიღო. კარს იქით სხივებით აფერადებული სკვერი გამოჩნდა.

— მობრძანდით, მისტერ სტრობს!

— გამარჯობათ, მისტერ ოთარ! — თქვა შემოსულმა.

ოთარმა გამოწვილი ხელს ხელი შეაგება და მოსულს თვალში შეხედა. შავი, მოუსვენარი თვალები პატრონის შინაგან ენერგიაზე მეტყველებდნენ.

— დაბრძანდით, მისტერ სტრობს!

წუთით უხერხული დუმილი ჩამოვარდა, რომელიც სტრობსმა დაარღვია:

— თქვენზე ლეგენდები დადის, მისტერ ოთარ! სიმართლე გითხრათ, უფრო ხანშიშესული მეგონეთ.

— გმადლობთ, სერ, შექებისათვის. მაგრამ, ცხადია, თქვენ ლეგენდებითა და ჩემი ფიზიონომიით არ დაინტერესდებოდით... — ღიმილით მიუგო ოთარმა.

— დახ, დახ, მისტერ ოთარ, თქვენ აუცილებლად გვჭირდებით.

— მეტი არაფერი, მისტერ სტრობს?! — ირონიულად იკითხა ოთარმა. — თქვენ ხომ არ დაგავიწყდათ, რომ მე პიროვნება ვარ და არა მანქანა?

— სხვა გამოსავალი არ გვქონდა, მისტერ ოთარ!

— ადამიანის უფლებები ნებას არ გაძლევთ, მისტერ სტრობს, თქვენი პირადი ინტერესების გამო არად ჩააგდოთ პიროვნების ნება-სურვილი!

— მართალი ბრძანებაა, სერ, მაგრამ იქნებ სჯობს, ასეთი გზით არ წარვმართო საუბარი. ვფიქრობ, შეიძლება ორივე მხარის სასარგებლოდ საერთო ენა გამოვინახოთ. — სტრობსი ადგა, კონიაკი და ორი ჭიქა მოიტანა, სავარძელში ჩაეშვა, ჭიქები შეავსო, და წყნარად თქვა:

— ჩვენი გაცნობისა იყოს, მისტერ ოთარ!

სასმელი დალიეს. წუთიერი დუმილი სტრობსმა დაარღვია:



— გასაგებია, მისტერ ოთარ, რომ დაუშვებელი ხერხებით ვმოქმედებთ ჭერჭერობით, მაგრამ მალე დადგება დრო, როცა არ ინანებ ჩვენთან თანამშრომლობას. ორ წელიწადში ჩვენ გავხდებით მსოფლიოს ბატონპატრონი და აბსოლუტური მბრძანებელი. — სტრობსმა გამომცდელად შეხედა ოთარს, რომელიც მშვიდად ეწეოდა სიგარეტს.

— სამწუხაროა, მისტერ სტრობს, რომ ისტორიაში ცუდად ერკვევით... ყველა დამსახურებისამებრ მიიღებს. მე კი ადამიანის უფლებათა ძალით მოვიტხოვ დაუყოვნებლივ განთავისუფლებას!

— ეს შეუძლებელია, მისტერ ოთარ, ყოველ შემთხვევაში ჭერხობით მაინც!

— ჩემგან რას მოითხოვთ, მისტერ სტრობს?  
სტრობსმა შეავსო ჭიქები და თქვა:



— თანამშრომლობას, მისტერ ოთარ! — სტრობსმა მოხვია სახმელი და დასძინა: — თქვენ ჭერჭერობით სხვა გამოსავალი არა გაქვთ, სერ!

— მაშასადამე, ან სიკვდილი ან თანამშრომლობა! ასეა ხომ, მისტერ სტრობს?

— მისტერ ოთარ, ჩვენ თანასწორუფლებიან თანამშრომლობას გთავაზობთ. თქვენ გახდებით სამყაროს ერთ-ერთი მბრძანებელთაგანი, გექნებათ საუკეთესო სამუშაო პირობები, თქვენს განკარგულებაში იქნება სრულყოფილად მოწყობილი ლაბორატორიები, თანამშრომლებად გეყოლებათ ცნობილი მეცნიერები. ხვალ ჩვენი შეფი, დოქტორი ლოუსი გვესტუმრება, მოვილაპარაკებთ და საბოლოოდ შევთანხმდებით.

— მისტერ სტრობს, პირობებზე დაწვრილებით უნდა მოლაპარაკება. თუ ისინი ხელსაყრელი არ იქნება, თქვენი მუქარა ჩემთვის არაფერს ნიშნავს. თქვენს შეფს მოახსენეთ, რომ სიცოცხლეს თავისუფლად დავთმობ, ჩემს ნება-სურვილს კი — არა!

— რა თქმა უნდა, მისტერ ოთარ, მთავარია თქვენი ნება-სურვილი. ახლა კი მაპატიეთ: გადაუდებელი საქმის გამო ორი საათით უნდა დაგტოვოთ...

### თავი მეორე

ვითარება მეტად სერიოზული იყო. სტრობსისა და დოქტორ ლოუსის მსოფლიო ბატონობის იდეა ახალ უბედურებას უმზადებდა კაცობრიობას. ოკენის სიღრ-

მეში საიდუმლოდ მზადდებოდა რაღაც საშინელი იარაღი. საჭირო იყო გაგება, თუ რა კეთდებოდა. ადამიანთა თავისი გონებით მოიპოვა ყოველის შემძლეობა. კოსმოსი. მალე კოსმოსში ცხოვრებისა და მუშაობის ისეთივე პირობები შეიქმნება, როგორც დედამიწაზეა და ასეთ დროს ადამიანთა ნაწილი, შავბნელი იდეებით შეუძლილი, კაცობრიობას ახალ უბედურებას უმზადებს. კაცობრიობის თავზე დამოკლეს საშინელი მახვილი ჰკიდა — ეს დედამიწაზე დაგროვილი იარაღის კოლოსალური რაოდენობაა. მისი დეტონაცია რომ მოხდეს, დედამიწა დაიღუპება... ამ ფიქრებმა ოთარი შეაშფოთა, ფიზიკურად დაღალა. ძალ-ღონის მოკრება იყო საჭირო. ვიდეოფონი ჩართო, ეკრანზე როქსი გამოჩნდა.

— რობოტი როქსი თქვენს განკარგულებაშია, სერ!  
— მისტერ როქს, მინდა ვისადილო.

— ახლავე, სერ. დღეს ჩვენი მენიუთი მოგართმევთ სადილს. შემდეგ კი — თქვენს მიერ შედგენილი მენიუთი.

— გამდლობთ, მისტერ როქს! — ოთარმა ვიდეოფონი გამორთო და საათს დახედა, სამი სრულდებოდა. „ნეტავი რას ფიქრობენ ჩვენები — სად გაქრა ეს კაციო?“ დღევანდელი დღე წარმოიდგინა: ცხრა საათზე თათბირი უნდა ჩატარებინა უჰაერო სივრცეში ჰაერის დენადობის შეჩერების შესახებ. თორმეტ საათზე კოსმოსური გეოლოგიის ინსტიტუტში მოისმენდა ინფორმაციას წყლის გავლენით უსიცოცხლო პლანეტაზე გრუნტის ცვალებადობის თაობაზე. ახლა, ეს იგი სამ საათზე, კოსმოსური გამოყენებითი მანქანების ქარხანაში უნდა დაეთვალთვინებინა „სიცოცხლის მანქანების“ ახალი ტიპები, ხუთ საათზე შეხვედროდა მსოფლიოში სახელგანთქმულ მეცნიერს, კოსმოსური ფიზიკის სპეციალისტს ჯანი კოლიზს... ზარმა დაიწკრილა, ანთო ეკრანი, გამოჩნდა რობოტი როქსი. ოთარმა კარი გააღო.

— ნება მომეცით მოგემსახუროთ, სერ! — თქვა რობოტმა, რომელსაც ხელში ვეება დახურული ლანგარი ეჭირა.

— მობრძანდით, მისტერ როქს!

— სუფრა გაშლილია, სერ!

— გამდლობთ, როქს! — ოთარმა მხარზე ხელი დაადო. ცივი ლითონის შეხებამ გააურულია: „ადამიანს ვერაფერი შეცვლის“. ამ ფიქრით სასადილო ოთახში გავიდა...



ოთარი სავარძელში იჯდა და ოკეანეს გასცქეროდა. წყლის რიტმს აყოლილი მალალი ფიკუსის ხეები თითქოს ჯადოსნური მუსიკის ჰანგზე ცეკვავდნენ. შორს წყალქვეშა კლდეები მოჩანდა: ოთარმა გადაწყვიტა მიეღო სტრობისა და ლოუსის წინადადება: „ერთგვარი მოჩვენებითი ენთუზიზმიც კი არის საჭირო, რათა რაც შეიძლება მეტი ნდობა მოიპოვო, კარგად შეისწავლო მათი სუტები მხარეები, მერე კი ვითარების შესაბამისად იმოქმედო. რახან ამქვეყნად მოხვედლი, კეთილი ინებე და განსარჯე. დიდი და პატარა საქმე არ არსებობს. ის საქმე, რომელსაც აკეთებ, აკეთე მთელი შეძლებით, კეთილსინდისიერად. იმ საერთო ჯაჭვში, რომელსაც ცხოვრება ჰქვია, ყველაფერი მნიშვნელოვანია. მაშინ უფრო სწრაფად წავა ცხოვრება წინ...“ ფიქრები ვიდეოფონის სიგნალმა შეაწყვეტინა. აპარატი ჩართო, ეკრანზე სტრობის სახე გამოჩნდა.

— მისტერ ოთარ, ხომ არ ინებებდით ქალაქის დათვალიერებას?

— სიამოვნებით, მისტერ სტრობს.

— ახლავე მოვდივარ!

ოთარი გარეთ გამოვიდა. ქათქათა, თხელი აგურისაგან ნაგები კოტეჯები უზარმაზარ ხეებსა და მწვანე ბუჩქებში ჩაფლულიყვნენ. ცა გამქვირვალე, შაბიამნისფერი მოძრავი ღრუბლებით დაფარულს ჰგავდა. ლორთქო ბალახი მზის სხივებს მოეჩია. წიწვიან და ფოთლოვან ხეებს შორის გაყვანილი ლარივით სწორი ქუჩები მწვანე გვირაბებს ჰგავდნენ... ოთარის წინ შავი ავტომობილი გაჩერდა და მანქანიდან მომღიმარი სტრობსი გადმოვიდა.

— ხომ არ გალოდინეთ, მისტერ ოთარ?

— არა, მისტერ სტრობს.

— გთხოვთ, მისტერ ოთარ! — სტრობსმა მანქანის კარი გააღო.

ოთარი წინა სავარძელში ჩაჯდა. სტრობსი საქვს მიუჯდა.

— თუ ნებას მომცემთ, მისტერ ოთარ, მეგზურობას გაგიწევთ.

— დიდად დამავალებთ, მისტერ სტრობს.

— ჩვენი ქალაქი, — დაიწყო სტრობსმა, — აგებულია ოკეანეში ათასი მეტრის სიღრმეზე. საერთო ფართობი ოცდაათი კვადრატული კილომეტრია.

მანქანამ უზარმაზარ შადრევანს ჩაუარა. აშხეგებული წყალი ცისარტყელების რკალებს გადაესერა. ირგვლივ ლამაზი ქანდაკებები იდგა. შორიანლოს პარკი და ჩოგბურთის კორტები მოჩანდა.

— ჭერის სიმაღლე, — განაგრძობდა სტრობსი, — ხუთასი მეტრია. ამდენივეა ჭერიდან ოკეანის დონემდე. ქალაქი ნახევარსფეროს წარმოადგენს. მისი გარსი აგებულია აქრომატული, მზის სხივების შემკრებ-გამაძლიერებელი სპეციალური მინის ქსოვილისაგან, რომელიც ფოლადზე ასჯერ მტკიცეა. ქალაქი ხმელეთს. უკავშირდება დიდი გვირაბით, საიდანაც სპეციალური ჰაერტუმბოებით ხდება ჰაერის მიწოდება და კონდენსირება. ჰაერს სწმენდს აგრეთვე უამრავი ტყე-პარკიც.

ავტომობილმა ტბას ჩაუარა. ტბის გვერდით გოლფის მოედანი იყო. მერე ისევ პარკი იწყებოდა ცხენით სასიერნო ბილიკებით.

— ნახევარსფეროს ფსკერი დაფარულია ორმოცდაათი მეტრი სისქის მიწის ფენით, — განაგრძობდა სტრობსი, — რომლის სიმკვრივე ყამირი მიწის სიმკვრივის ტოლია. მცენარეებს კვებაზე სპეციალური სასუქებით. დამეთანხმებით, ყოველი არქიტექტორი გამოიყენებდა იმ

ხელსაყრელ პირობებს, რომელსაც ქალაქის კედლები იძლევიან. ამიტომ განაშენიანება წრიულია. ავტომობილი პარკის გასწვრივ მისრიალულა. შეეძინა ქვეშ რბილი მერხები იდგა. მანქანამ პარკი გვერდზე მოიტოვა და ტბის ნაპირზე გავიდა, ერთხანს ნაპირს მიჰყვებოდა, მერე გვერდით მდებარე შვეულ ქუჩას გაუყვა და ბოლოს გვირაბში შევიდა.

— ეს ქალაქიდან გასასვლელი გვირაბი გახლავთ, მისტერ ოთარ, — თქვა სტრობსმა. დღის ძლიერი სინათლით განათებულ თეთრი გვირაბის კედლებს ასევე თეთრი მიწები გასდევდნენ. მანქანა თეთრი მარმარილოთი მოპირკეთებულ დიდ დარბაზში შევიდა და გაჩერდა. დარბაზის კედლებში მოჩანდა ლიფტის კაბინეტი. ერთ-ერთი ლიფტით. მალლა ავიდნენ.

ეს ფიორდი იყო. ერთ მხარეს ოკეანე გადაშლილიყო, მეორე მხარეს — ნახევარუდაბნოს მსგავსი უკაცრიელი







ნაპირი. ვიწრო ყურე ღრმად იჭრებოდა ხმელეთში. მაღალ, კლდოვან ნაპირებს ხმაურით აწყდებოდა ტალღები. კლდეებზე ავტომატური სხივმფრქვევები იდგა, გვერდით კი — პროექტორები. ოთარმა მინც ჰკითხა სტრობსს — ყველაფერი ეს რას ემსახურებაო.

— ეს ჩვენი სხივური თვალეზია, მისტერ ოთარ. არასასურველი სტუმარი ვერც შემოაღწევს და ვერც გააღწევს აქედან.

ლოუსთან შეხვედრისა და ხელშეკრულების დადების შემდეგ ოთარი ყურადღებით გაეცნო სრულყოფილი ტექნიკით მოწყობილ ლაბორატორიებს. მის გაოცებას საზღვარი არ ჰქონდა, როცა აქ შეხვდა მსოფლიოში სახელგანთქმულ ამერიკელ მეცნიერს უილიამ უოლსენს. უოლსენი კოსმოსის კვლევისა და ათვისების თეორიულ და პრაქტიკულ შესაძლებლობათა მკვლევარი აკადემიკოსი, კოსმოსური კვლევის მსოფლიო სამეცნიერო საბჭოს თავმჯდომარე იყო. ამ საბჭოს მუდმივი წევრი კი იყო ოთარი. ეს მეცნიერი ექვსი თვის უკან უგზოუკვლოდ დაიკარგა.

— აი, სიურპრიზი ამას ჰქვია! — იმეორებდა აღელვებული მეცნიერი და სათვალეს წამდაუწუმ ისწორებდა.

— თქვენ აქ როგორ მოხვდით, ბატონო უოლსენ?

— ისე, როგორც თქვენ, ჩემო კარგო, — მიუგო მეცნიერმა, — აქ კიდევ ბევრ ნაცნობს შეხვდებით!

— ბატონო უილიამ, ნუთუ არ გიც...

— სსს, — უოლსენმა სიტყვა შეაწყვეტინა ოთარს. მერე ქალაღი აიღო, ნაჩქარევად რაღაც წააწერა და ოთარს გადასცა.

„აქ არაფრის თქმა არ შეიძლება. მილიონი უური გვისმენს და მილიონი თვალი გვითვალთვალებს. გაქცევის განზრახვას ექვსი კაცი შეეწირა, ექვსივე დიდებული მეცნიერი“.

ოთარმა მხრები აიჩეჩა. უოლსენმა ქალაღი გამოართვა, საფერფლეზე დააგდო და ცეცხლი წაუკიდა.

— ასეა, ჩემო კარგო, საქმე!

— თავს ხომ კარგად გრძნობთ, ბატონო უილიამ?

— ჩინებულად, ჩემო კარგო, ჩინებულად. რადგან თქვენც ჩვენთან ხართ, მუშაობა უფრო საინტერესო იქნება და იმედიც მეტი მექნება. — მოხუცმა თვალი ჩაუკრა.

— მეც ასე მგონია, ბატონო.

ოთარი ენერგიულად შეუდგა მუშაობას, რადგან მიხვდა, რომ აქედან გაქცევაზე ფიქრიც კი ზედმეტი იყო. გვირაბში გასასვლელთან დადგმულ ავტომატურ სხივმფრქვევე ჰიანჭველაც კი ვერ გაეპარებოდა. წყლის ქვეშ კი ქალაქი ტორპედოების ქსელით იყო გარშემორტყმული. ერთადერთი გზა — ეს იყო კოსმოსში გაფრენისას ხომალდის ეკიპაჟის დაპატიმრება და იძულებით მთვარეზე დასმა. შეთქმულების მონაწილე ყველა მეცნიერმა ამ გეგმას დაუჭირა მხარი.

ოთხ თვეში დამზადდა „სიცოცხლის მანქანების“ პირველი პარტია. ამის შესახებ ოთარმა მოახსენა სტრობსს და წარუდგინა სია იმ მეცნიერებისა, რომლებიც მასთან ერთად უნდა გაფრენილიყვნენ კოსმოსში.

შეთქმულნი მოუთმენლად ელოდნენ პასუხს. მესამე დღეს სტრობსმა ოთარს აცნობა — ექსპედიცია ხუთ დღეში მზად იქნებაო...

კოკისპირული წვიმა ტყვიისფერ ცასა და მიწას შორის გაბმულ სიმებს ჰგავდა. წყლის ჩქაფანი, ახალშეფოთილ ხეთა შრიალი საერთო ხმაურსა და მოძრაობას ჰქმნიდა, რომელშიც მცენარეთა სამყარო თითქოს მაგიურ რიტუალს ასრულებდა.

კოსმოსური ხომალდის „ნებტუნის“ კაპიტანი ჯონ სტოუნი, მარადიული უწყლობით გამოფიტული მიწის სუნთქვით თავმოზერებული, ბავშვივით აღტაცებული მიაჭყაუნებდა წყალს. „ადამიანებო, თქვენ არ იცით ერთმანეთის ფასი, თქვენ არ იცით მიწის ფასი, თორემ ატომურ, წყალბადისა და კობალტის ბომბებს აღარ შექმნიდით“. — ფიქრობდა კაპიტანი და თვალწინ ედგა უსიცოცხლო, უკაცრიელი პლანეტების უსასოო, სევდის-მომგვრელი სურათი...

„ყველაფერი უაზრობა იქნებოდა ადამიანთა გარეშე“ — ეს კარგად სჩანდა იქ, მარადიულ სიცარიელეში. როგორც კი ხომალდი უცხო პლანეტაზე დაჯდებოდა, მას მღელვარება იპყრობდა, ილუმინატორს მივარდებოდა და ხარბად ეძებდა ადამიანის რაიმე ნიშანწყალს. მაგრამ ყველგან შავ-მონაცისფრო კოსმოსური მტკვრი და მეტეორული ქვებით დაფარული მკვდარი მიწა ხვდებოდა. და ეს გამთანგავი სევდით ავსებდა... კოსმოსიდან დედამიწაზე დაბრუნების შემდეგაც დიდხანს მოხვენებას არ აძლევდა ეს გრძნობა.

„სამყაროს ყველაზე დიდებული ქმნილება, მისი უმაღლესი შინაარსი და სილამაზე ადამიანია. ის რომ არა, ირგვლივ მხოლოდ მტკვრი, სიცივე და მარადიული სიცარიელე იქნებოდა...“ — ფიქრობდა კაპიტანი ჯონ სტოუნი. იგი სამი დღის წინათ ჩამოვიდა მარსიდან და ხანგრძლივი, დაძაბული ფრენის შემდეგ მეტად სასიამოვნო იყო გაზაფხულის შხაპუნა წვიმაში ფეხით სიარული. „თალესი მართალი იყო, როცა ყველა ფიზიკური მოვლენის საწყისად წყალი მიიჩნია. მართლაც, პირველი სიცოცხლე ხომ წყალში ჩაისახა. მე რომ კომპოზიტორი ვიყო, დიდებულ მუსიკას დავწერდი წყალზე...“ ვიდაცის დაუინებულმა შერამ შეაწყვეტინა ფიქრები. აიხედა. მაღალი, ხმელ-ხმელი, ოთხკუთხა სახის კაცი მისკენ მიემართებოდა. კუმოკრულ კოსტიუმზე საწვიმარი წამოესხა. აწეული საყელო და ცხვირზე ჩამოფხატული დიდი შლაპა სახის ნახევარს უფარავდა.

— უკაცრავად, სერ, თუ არ ცვდები, ჯონ სტოუნის ბრძანდებით?

კაპიტანმა თვალი შეავლო. გამხდარი, ცვილისფერი სახიდან ჭროდა თვალეზი უმზერდნენ.

— დიახ, სერ. ვისთან მაქვს პატივი საუბრისა? — თქვა კაპიტანმა და სახე წვიმას მიუშვირა. — რით შემიძლია გემსახუროთ, სერ?

— მისტერ სტოუნ, მე გახლავართ „მიწა-წყალი-კოსმოს კომპანიის“ წარმომადგენელი. თქვენთან სერიოზული საქმე გვაქვს.

— საინტერესოა, სერ!

მე წლის ჯონ სტოუნს, ბენარესის ინსტიტუტის პროფესორს პირველი ტრასები გაჭყავდა უცხო პლანეტებზე. შემდეგ, სახელმოხვეჭილმა კაპიტანმა სახელმწიფო სამსახურს თავი დაანება და შექმნა კერძო კომპანია: „მიწა-კოსმოსი“.

— რომელ პლანეტაზე გსურთ გაფრენა, სერ, და რატვითი მიგაქვთ?

— კაფეში შევიდეთ, მოვილაპარაკოთ. — წინადადება მისცა კომპანიის წარმომადგენელმა.

— მაშინ ჩემს ბიჭებს შევატყობინებ, სერ! — თქვა



სტონენა და ვიდეოფონის ჩიხურში შევიდა. მალე ვიდეოფონის ცერანზე გამოჩნდა ცაბს სტევენსონის კეფლი სახე.

- მელიუ, ჩონი
- მელიუ, ექ
- რაი, მოხუცი — ცაბსი სახეში შეაქცერა კაიბი ტანს.

— ემ ბებენ მიძებენ და თხუბტე წუთში. მიწა-წყალი კომბის კომპანის კაფეში შიდიო, სახარაო საქმე.

— მოვლავით, ჩო!

კაიბიანა ვიდეოფონი გამოირი, ერთხანს ურავად იდგა ჩიხურში, მერე გავიდა და ჩიხუბი გაწყო.

მიწა-წყალი კომბის კომპანის კაფეში დახსენენ, თხუბტი წუთის შინდგ კაფე ჩე სორდის ცისებურ ჩიხა შიადე. მაქანად ცაბს სტევენსონი, ჩე სორდი და მავური ვაღშოვიდენ. კომპანის საქიშა ვარკიბის წარმომადგენელი ოტო შვარცი საფარბელი წრიალებდა და საუბრის დაწყებას ელოდა. სიტყვა ცაბსმა აიღო.

— მიხტერ ოტო, რომელ პლანეტაზე გსურთ გაფრენა და რა ტვირთი იქნება?

— ოტომ შიტადელიური ფისი ჩამოსხა და თქვა: — ჩენდლენებო, ალბათ, კარგად იცით, რომ ჩვენს კომპანის რიხი ზომილი შეხეს, მათგან ერთი შეხევე ოქსად დას. ამიტომ იმდენად ვართ ზომილი და ვიჭარათო. გვიჩვენა კარგი ზომილი, კარგი დეკორა... რეკომენდაცია თუ ოქვე მიაკვს. პლანეტა ანტარტის ვადაშიწები ვაღაშოვიდა.

— დეზილი ჩამოვარდა. უკვამო ჩონ სტონენ ვაღაშე. კაიტანი მწვიად ეწეოდა ჩიხუბს. ზომილბის ექიმი ჩამწე მავარია ვისკ წრუტავდა.

— რამდენს იძებნით, სტრ? — ეკითხა კაიტანმა.

— ოტო შვარცი წაიბი დაფრტარდა.

— თორბტე ათს ელოდრს, მიხტერ სტონენ.

— ბორტენინებს ჩე სორდის თვადელი სიხარულიის სიხე ავიტყვიდა და უკეს დადგა. მავარამ მისი მურა კაიტანის თანაშემწის, ცაბს სტევენსონის ცე შერეა წაწედა და კრინბი ეტე დასწია.

— ოკუთანი ათსს კაიბი არ დაეკლბა. სტრ — მუდგლად თქვა კაიტანმა და თვლი გაუყოლა ჩიხუბის მუდგლად ზოლს.

— მისი ათასი, ჩეხ, კარგი თანხაა.

— მიხტერ ოტო, აქ მავარა როდია — წე მუეკრები. ბიტი, პლანეტა სრულიად უცნობია, ამიტომ გაფრენაც სასიხაროა.

— ოტო დაფრტარდა, მერე ბიდიში მოხიდა და ბარძე. მისი თანხა შევიდა. ხუთი წუთის შინდგ დაბრუნდა.

— თანხაა ვარის, სტრ! მუდგლად დაღბევა ვაციფირბით. სანი ზოლზე გაფრინდებით.

— აჩის, სტრ! — წამოიძახა კაიტანმა და ვისკი გადკერა.

### თ ვ ა რ ი მ ი თ ე ბ ა

კოსმოსური ზომილბის „ნეტელის“ წამებად ნაკვეთური მუეტირბანი იხსენებ კაიტანი ჩონ სტონენ და მურბანის ცაბს სტევენსონი.

— ვიღებო სტრასქ — ვინხა ზომილბის სატრანს-დელიო დინამიზმი ჩონ სტონენს მხა.

— ზომილბე მწავა, ჩო! — ურახუნა ბორტენინერი. მას ჩე სტრადე.

— ურახუნებმა სანი, ორი, ერთი, ნოლი, სტარტი



— ზომილი ჩერ აგუუნდა. მერე ერთხანში მოწევა ადგილს და მავარში აიჭრა.

— მივლავარი მუდგეი აჩქარებით. სასტარტო სიჩქარე შევადვენს 11.2 კმ/წმ.

— ურახუნა კაიტანს ჩე სტრადე.

მეუზობდა ორი მძიოხად და ერთი სათადარიგო ძრავა. ზომილი მზარდი სიჩქარით მზარდვდა სივრცეს და მთელი მალეტი გბრძოდა დედაბრის მოზიდულობის ძალის ერთი საათის შინდგ ბორტენინერმა აცნობა ცაბსს:

— ველო ძრავა ნორმალად მუშაობს. საბორტი სისტემაში ურესიგობა არ არის.

— კეთილი, ჩექ!

— წამებან ნაკვეთურში დაღლილი სახით შემოვიდა ჩე სორდი. ჩარლზ მავარანი ლოკის დასცქეროდა და ძიბებდა დაწყობლებით ცნობებს ანტარტისად.

— ვიგბატური ვარსკვლავი, წიფელი ნაეთიბი, — კითხულობდა მავარაი, თან ინფორმაციებს ატარებდა.

— მთიფულობის ძალა 5.1-ჯერ ნაღებია. ვიდრე დედაბრის რიბიბის სისტემის მიმართ ღრძინად დაბრკობილია მხოლოდ გრუნდსანგარია. სტონენი ამინდის ციკლებზე დაფრტარდა არ არის. წლიური საშუალო ტემპერატურა ცვატარბულ ზონაში — 111 - 27°. არ ვაჩინა ველო და ფლორის არ არის წყალი. პლანეტა მწუღელია.

— 11.2 კოლონიზაციის გეგმაა. პლანეტაზე არსებობს ორი ავტომატური სადღერი.

— საქმარისა, ჩარლზ, მავრის არ უნდა გაგვიბრდეს დადგომა — შენიშნა ცაბსმა.

— მიხს რა მიზანი აქვს ჩვენს ფრენას, ჩო? — ეკითხა სორდმა.

— მოილოდა ვიზიზა, არ ვციო, ჩეხ. ისე თუ უცნობი რეგია.

— ჩაუ მავარაია, კარგად ჩავვიციბეს. — თქვა ცაბსმა.

— ხანტერებსა, ამდენი შეიარაღებული მანდრ



— რა ჩანანდა უნდით აღკუნება ხომ დაუსახლებელია — ვაციფრევა მავარამ.

### თ ვ ა რ ი მ ი თ ე ბ ა

„ნეტელი“ სწორი კურსით მიფრინავდა. მიწიორ-ნურად გუფრედენდნე ძრავებს ეკლავი საუზნობდა.

— მიხს ვერა და ვერ ვაგებო. რისხვის მიფრინავათ! — თქვა კაიტანმა, ვაუა დახისხა და ვაბს მუეზე.

— რაღაც სრულ წინათვრისმა მუქეს!

— მართლაც ხომ შეიძლება ანტარტისზე მომხიბი მავკუნიდეს! — ეს ჩარლზის სიტყვები იყო.

— ჩარლზ, შეგეფნება, რომ უკუნე თან გვადგეო ავტომატური მურბი ბომბებზე. — შენიშნა ცაბსმა.

— ამამად დედაბრე წე სავტორი ჩამ ბლენა, ეც აღამინება თიქვის გრუნდა დაყარებს. შენ ამბობ, ავტომატული ვაქსი. ეს მართალია. მავარამ როგორ შეიძლება დეიფიურის ცაბს კონტრის მომხიბის არსებობა.

სახით ოთხი ბომბი დედაბრის მისამოს. ეს ძალბები იქ სისეყოლია ჩომ არ მიაკვებს. ფტატია. — ვებარადა ჩარლზო.

— ჩვენ ჩვენი საქმე ვაციფოთ, ჩარლზ. დანარჩენი არ ვებევა.

— ემ, საუ თუ ვიჭერებო. კარგად წევა ცაკობრბობის საქმე. ექი კაციბორბობა დაღებვის ზღვარამ დაგს. იგი მინარჩის მავკენის — ჩაუ ფტარი ურახუნებმა ზღვას.

— მის უფრო სწრაფად ორი მიუდენება.

— შენ მართალი ხარ, ჩარლზ! — ერთხანად დაე-თანხმა ცაბსი. — ვაგამ, მიხარია, ჩვენ რა შევიძლიათ კაიტანი სავარაზი არ მინაწყოლობდა. დაფრტებულე იქდა. ვაქსი ლომინის მოზადლილ მავარი ჩაადლო და აუტარებდნე ურეცეა. დრიდადრო ზელსაწყოებს ვაღაშობდა.

— ორი საათი კარგზე უნდა ვიბურო. წამოვდა ცაბსი. — შინდა ზოგბორბო არ კილდე უმეაწყოზო. ვა-ცა კიბაა შენიგებევა. რაღაც უმჯავს არ სინანეს!

— კაიტანი, სტრ, მავარამ თქვენ ზელს შემწიფოთ, — და უმჯავსოლი სტრბისს კარი ტვირთის მიუტარა...

— მავარაოლი მავარა ოლი და ნაკვეთურიდან ვაციდა. დეკობრი სტრბისს მავარს მუიბე კაიბის კრამბ დასევა. გულობდალ მუეხანდა ექიბს და კაიბებო შე-უღედა. რიხლ სავრეცეში იქდა უღრინოდ თავჩაიგებულე კალარა მიუტყვი.

— მომხმარებო, სტრ, დაწინაწინა! — მავარაოლი ვაღაშეულო ურახუნებოთ დასწევა. — სტრ, ვაღაშეულო სავრეცეში უნდა ვაღაშეულოთ მოსიბატარ ნაკვეთურში.

— სტრბისს რატილავ არ პარჩედა მოსიბატარ ნაკვეთურიდან ვაღაშეულო დასევა. ამიტომ მავარაოლი ურახ: — მავტეიო, სტრ, მავარამ თქვენ ზელს შემწიფოთ, — და უმჯავსოლი სტრბისს კარი ტვირთის მიუტარა...

— ორი საათი კარგზე უნდა ვიბურო. წამოვდა ცაბსი. — შინდა ზოგბორბო არ კილდე უმეაწყოზო. ვა-ცა კიბაა შენიგებევა. რაღაც უმჯავს არ სინანეს!



# სკანტბენის



სკანტბენის პარკი

მხატვარი  
ზურაბ ფორჩხიძე

# სკანტბენის

სკანტბენის შარტი ახალგაზრდა ინდოელი პროგრესული მწერალია (წერს ჰინდის ენაზე).

მისი პირველი მოთხრობები და დრამატული ნაწარმოებები დაიბეჭდა 1946 წელს. უოველი მისი მოთხრობა, ისევე, როგორც ახალი თაობის მწერალთა მოთხრობების უმრავლესობა, სოციალურ თემატიკას ეხება.

შავი დადარ-ბრიჯი\* გადადიოდა. უცებ ხველა აუვარდა და ფიქრმა წაართვა თავი. ეს ფიქრია, რომ ამ ბოლო დროს მოსვენებას არ აძლევს და ვერა და ვერ გადაიყარა გონებიდან: „უნდა ვიჩქარო! საკუთარი ჯანმრთელობის მიმართ ასეთი გულგრილობა მალე სამარის კარამდე მიმიყვანს. ჩემთან ერთად დასამარდება ჩემი დიდი ოცნება, — გავხდე სახელგანთქმული კაცი, რომ ქება-დიდება მომიხსენიოს შთამომავლობამ. მაგრამ, — განაგრძობდა თავის ფიქრს შავი, — იმისათვის, რომ ჯანმრთელობა შევიწინარჩუნო, გამოჩინდეს მკურნალებთან მისასვლელად და წამლებისათვის ფულია საჭირო. მე კი ჩემი გროშები ძლივს მყოფნის ლუქმა-პურისათვის და თერთვლის მრეცხავისათვის მისაცემად“.

რაკი შავი გრძობდა, რომ მისი ჯანმრთელობა დღითი დღე უარესდებოდა, გადაწყვიტა, დაუყოვნებლივ სჩვენებოდა ვინმე ექიმს. — უსახელო ექიმი ისე ძვირს არ აიღებს, — არწმუნებდა თავის თავს.

შავი აღარ წავიდა „ქობადად სარკალზე“ მდებარე სასტუმროში, სადაც, ჩვეულებრივ, სადილობდა ხოლმე. ერთ სახლში შევიდა, რომლის კარზე მიკრული მომცრო, გადახუებული აბრა იფუყებოდა, რომ იქ ექიმი ცხოვრობდა.

ექიმა შავი გულთბილად მიიღო, სავარძელი მიუწია, ჰკითხა, რას უჩიოდა. შავი უამბო: თვენახევრის წინათ გავცივიდი, მახველებს, ხველის დროს ნახველს ვიღებ და გამუდმებით მტკივა ყელი. მთელი სხეულის სისუსტეს ვგრძობო.

ექიმა მისი ნათქვამი სიტყვასი-

ტყვით ჩაიწერა, მერე სტეთოსკოპი აიღო და ყურადღებით გასინჯა.

— წამალს გამოგიწერთ, მაგრამ გირჩევთ რენტგენითაც გაეშუქოთ. ახალგაზრდა ხართ, სიფრთხილეს თავი არა სტკივა!

რენტგენის ხსენებაზე შავი გაუღიანდა.

— რაკი თქვენ მირჩევთ, აუცილებლად გავეშუქები, — ჩაილულულა, — მაგრამ ამჟამად... ახლა... ვერც ოც და ვერც ოცდახუთ რუბრის ვერ გადავიხდი. ამ ბოლო თვეებში ძალიან მიჭირს... რენტგენს ცოტახნით გადავდებ. რაკი წამლებს გამომიწერთ, ალბათ გამოვკეთდები.

— არა, არა! — თავი გაიქნია ექიმა, — რენტგენის გადადება არ შეიძლება, ავადმყოფობა არ გაგირთულდეთ, ასთმა არ დაგემართოთ, ან სხვა რამ უარესი. ფული რამდენი გაქვთ?.. თხუთმეტი რუბია არ შეგიძლიათ გადაიხადოთ?

— მართალი გითხრათ, ამჟამად არც ერთი რუბია არა მაქვს, — გაწითლდა შავი, — მაგრამ თუ ასე აუცილებელია გაშუქება, ვეცდები სადმე ვისესხო.

— ასე აჯობებს. ახლავე დაგიწერთ ბარათს რამ კუმფარის სახელობის რენტგენის საქველმოქმედო ინსტიტუტის სახელზე. ეს ინსტიტუტი აქედან შორს არ არის. სურათის გადადება დაწესებული ოცდახუთი რუბრის ნაცვლად, თხუთმეტი რუბია დაგიჯდებათ. წამლებსაც დღესვე მოგცემთ.

შავი აღაშკარებდა მადლობის ნიშნად თავი დაუქრა. ექიმი კი შეუდგა წერტილის წერას, შემდეგ კონვერტი დააწება და დაწერა მისამართი. შავი აღაშკარებდა მადლობა წერილი და წამლის შუშა. შემდეგ ალელვებულმა ენის ბორძიკით ჰკითხა, თუ გასამრჯელო რა

ერგებოდა. მაგრამ პასუხს ვერც დაუთქვია და ექიმს ხუთი რუბია დაუბოლო წინ. ექიმა ქალაქის ფული გულდასმით გასინჯა, თითებში შეატრიალ-შემოატრიალა, შემდეგ მის წინ მორცხვად მდგარ შავი გასაღის მრავალმნიშვნელოვნად შეხედა და ფული ჯიბეში მშვილად ჩაიღო.

კანტორაში დაბრუნებისთანავე შავი მმართველისაკენ გაეშურა. უფროსმა გაუღიმა!

— როგორ გიკითხოთ, ბატონო შავი?

— ერთი რამ უნდა გითხვით, — უთხრა შავი, — თქვენ ალბათ შეამჩნევდით, რომ ამ ბოლო დროს არავარ კარგად და ძველებურად ველარ ვასრულებ სამუშაოს. აქამდე ჩემს თავს ყურადღებას არ ვაქცევდი, მაგრამ ექიმა მითხრა, გულმოდგინე მკურნალობა გესაჭიროება...

— რა თქმა უნდა, რა თქმა უნდა. — თანაუგრძნო მმართველმა. — მაშ მკურნალობისათვის შევებულე-ბას ითხოვთ?.. რამდენი დღით?

— არა, შევებულე არ მინდა, — შეიშმუნა შავი. — სასწრაფოდ რენტგენზე გასაშუქებლად ფული მჭირდება...

მმართველი წამით დადუმდა.

— თქვენ ხომ კარგად მოგხსენებთ, — თქვა მან ბოლოს, — რომ ჩვენთან ავანსების გაცემა მიღებული არ არის, ავანსი კი შეიძლება. ასე რომ, ძალიან ვწუხვარ, მაგრამ უარი უნდა გითხრათ!.. კიდევ რაიმე საქმე ან შეკითხვა ხომ არა გაქვთ?

შავი უარს არ ელოდა და დაიბნა. მერე ამოიოხრა და უთხრა:

— არა, მეტი არაფერი. შემიძლია, წავიდე?..

მმართველმა, ეტყობა, სინდისის ქენჯნა იგრძნო და კარისაკენ მიმავალი შავი შეაჩერა.

— ე-ე-ე, მომისმინეთ... რამდენი გჭირდებათ?

— რენტგენის სურათის გადაღება თხუთმეტი რუბია ღირს.

— კარგი, ამ თანხას ჩემი ჯიბიდან მოგცემთ.

— გმადლობთ, დიდად გმადლობთ! — გაუხარდა შავი. — თქვენ ძალიან გამიმართეთ ხელი... ავანსის მიღებისთანავე მოგართმევთ.

— კეთილი, კეთილი! — შეაწყვეტინა მმართველმა. — როდის მიიხაროთ რენტგენზე?

— ხვალ, პირველ საათზე!

— კეთილი! რენტგენის შედეგი აუცილებლად მაცნობთ! მინდა ვიცოდეთ, რითი ხართ ავად, — განაგრძობდა თავაზიანი ღიმილით მმართველი. — ახალგაზრდა! ავანსი გეძალდება

\* დადარ-ბრიჯი — ხილია ბომბეში.



გიყვართ ხოლმე. ასეთ ძალ-ღონით საესეს სარენტგენო რა გჭირთ!

შაივალმა ირწმუნა მმართველის ნათქვამი. ჰაერი მთელი მკერდით შეისუნთქა და გულიანად გაიცინა.

მეორე დღეს შაივალი რესტორანში საუბრობდა. შეამჩნია, რომ დახლს თორმეტიოდე წლის ბიჭუნა მიუახლოვდა და რესტორნის პატრონს გაუბედავად უთხრა:

— ბატონო ჩემო, თუ შეიძლება, სამი რუპია მომეცით, დღეს თუ სწავლის ქირა არ შევიტანე, სკოლიდან გამრიცხავენ.

შაივალი გაკვირვებული უყურებდა შავგვრემანს, გამხდარ ბავშვს, რომელსაც გულზე მიეკრა წიგნებისა და

რვეულების შეკვრა და იმედის თვალით შეჰყურებდა რესტორნის პატრონის უქმურ სახეს. მან კი თვალეზი დაუბრიალა:

— ახლავე აქედან მოშორდი, შე საძაგელო! მოსვენება აღარა მაქვს ამ მაწანწალებისაგან, ხალხს ატყუებენ, მათხოვრობენ... — რაღაც ჩაიბურღლუნა თავის გაბანჯველულ წვერ-ულვაშში, ალბათ შეაგინა... ბიჭუნას გული ეტკინა, ატირებას აღარა უქლდა რა.

— მართალს გეუბნებით, ბატონო! — აკანკალებული ხმით გაეპასუხა ბავშვი. — დღეს თუ სამი რუპია არ შევიტანე, გამომრიცხავენ. თბოლი ვარ, არავინ გამაჩნია ისეთი

ახლობელი, რომ სწავლის ფული გადაიხადოს! მამაშვილურად ვთხოვთ, შემობრალეთ! — შეევედრა ბავშვი და სალოცავად გამზადებული მუხლები შეუბღვინა მიიტანა.

ბავშვის გულწრფელობამ და ღრმა ნაღველმა შაივალს ცრემლები მოჰგვარა და თავისი ბავშვობა გაახსენა. ოდესღაც თვითონაც ასე დაობლებული, თვალცრემლიანი ემუდარებოდა უცნობ ხალხს, რომ მისთვის ცოტაოდენი ფული მიეცათ სწავლის ქირის გადასახდელად. ისინი კი უპატრონო ძალღივით გარეუ ავლებდნენ, თავიდან იშორებდნენ. შაივალმა ჰამას თავი ანება, სწრაფად წამოდგა და ბავშვს ანიშნა, მომიცადეთო, თვითონ კი პირსაბან ოთახში გავიდა ხელეზის გადასაბანად.

მალე მობრუნდა და ბავშვს ალერსით ჰკითხა:

— მართალი მითხარი, ფული ნამდვილად სწავლისათვის გინდა?

— დიახ, სწავლისათვის. თუ არა გყვართ, იკითხეთ! — ცრემლების ყლაპვით უპასუხა ბავშვმა.

— ვის ვკითხო?

— ჩვენს მასწავლებელს.

— სად სწავლობ?

— სამხრეთ ინდოელთა საშუალო სკოლაში. მეექვსე კლასში ვარ. ჩვენი სკოლა კინგ სარკალზეა...

როდესაც რესტორნის პატრონმა დაინახა, რომ მისი მუღმივი კლიენტი ასეთ ცხოველ ინტერესს იჩენს პატარა მათხოვრისადმი, თავი ვეღარ შეიკავა და უთხრა:

— ბატონო, როგორც ვხედავ, ანკესზე წამოეგეთ! ნუ გავიწყდებათ, რომ ეს ბომბეია! აქ ასეთი მათხოვრები ათასობით დაძრწიან. აბა, ერთი დღე ჩემს გვერდით დაჰყავით და თქვენი თვალთ ნახავთ, რამდენი ასეთი მატყუარა შემოვა. ერთი ვითომ გაძარცვეს, მეორეს ვითომ ბავშვი შეეძინა, მესამეს ბარგი აცალეს სადგურზე... ათიდან ერთს არ დაეჭვებთ! ათასგვარ ზღაპრებს თხზავენ, რომ გულუბრყვილო ხალხს თავი შეაცოდონ. საპიბ, მე განა ცოტა გაჭირვება. გადამიტანია, მაგრამ არასოდეს ცრემლიც კი არ გადმომიგდია. ვცდილობდი ჩემი საქმე თვითონვე მომეგვარებინა! — და დასტურისათვის მიუტრიალდა მაგიდასთან მსხდომ ხალხს, რომლებიც, თუმცა ყბები გამოტენილი ჰქონდათ, მაგრამ მაინც ყურადღებით უსმენდნენ მის ლაპარაკს.

შაივალს ყელში ბოღმა მოაწვა, სიბრაზეს ძლივს იკავებდა. ეს გასუქებული კამეჩი კიდევ ბედავს ხმის ამოღებას ტანჯვასა და გაჭირვებაზე? განა მას უნახავს და განუცლია ან

19.178





ერთი ან მეორე?.. „გაპირვება და შიმშილი“ — ამ პირუტყვისათვის ისეთივე ლიტონი სიტყვებია, როგორც ამ ვაებატონებისათვის, მლიქვნელურად კვერს რომ უკრავენ! ესენი ხომ თოჯინებივით არიან, არც შებრალება იციან, არც თანაგრძობა. „ცივილიზაცია“ დიდი ხანია მათ წაართვა ყოველივე ადამიანური.

შაივალმა თავს ძალა დაატანა, რომ რაიმე უხეში არ ეთქვა ამ არამზადებისათვის და ბავშვს მიუბრუნდა:

— ძამიკო, აი რა! ახლა მე და შენ სკოლაში წავიდეთ. ვნახოთ შენი მასწავლებელიც, დირექტორიც. იქნებ მოვანერხო და სწავლის ქირისაგან გაგანთავისუფლონ. იმ ბავშვებს, რომლებსაც არც დედა ჰყავთ, არც მამა, სწავლის ქირას...

მაგრამ უცბად შეჩერდა, რადგან მოაგონდა, რომ სწავლის ქირისაგან გასანთავისუფლებლად ან მის შესამცირებლად საჭირო იყო ვინმე ძალიან გავლენიანი პირის შუამდგომლობა. ისე კი ამო ცდა იქნებოდა. მაგრამ ის მაინც შეეცდებოდა! ბავშვმა უნდა ისწავლოს!.. — შაივალმა ამყად გადახედა გაკვირვებისაგან პირდაღებულ რესტორნის პატრონსა და მის დამქმუმებს. რომლებიც კუჩის ამოვსებით იყვნენ გართული. შემდეგ მხრებში გაიმართა, ბავშვს ხელი მოჰხვია და გასასვლელისაკენ გასწია.

— მართლაცდა რა ახირობულ ხალხს არ შეხედები ამ ბომბეიში! — თქვა მის გასაგონად სასტუმროს პატრონმა.

ქუჩაში რომ გავიდნენ, შაივალმა ბავშვი ტრამვის გაჩერებისკენ წაიყვანა.

— ფული რად უნდა დავხარჯოთ, — დიდი ადამიანივით დინჯად თქვა ბიჭუნამ — ჩვენი სკოლა შორს არ არის. ფეხითაც მივალთ!

გზაში ამ პატარა ბიჭუნამ შაივალს თავისი მოკლე თავგადასავალი უამბო. მას თურმე მასტრი რქმევია. ადრე მის ოჯახს დელში უტხოვრია; სადაც მამამისი ერთი პატარა ტაძრის ბრაჰმანი ყოფილა. ბომბეიშიც ამ თანამდებობაზე უმუშავია, მაგრამ გარდაცვლილა. დედით კი პატარაობაშივე დაობლებულა. მამის სიკვდილის შემდეგ ბიჭუნა საცხოვრებლად შეძლებულ ბიძას შეჰკედლებია, მაგრამ იმას თავისი დამართვია. სანამ ძმისწული არ მოუშორებია. ახლა მასტრი მასთან მხოლოდ ღამეს ათევს. კვებით კი იმ ხალხთან გამოდის იოლად, სადაც ღვივისმსახურების რიტუალს ატარებს. მამას ჯერ კიდევ სიცოცხლეშივე ესწავლებინა მვილისათვის ეს საქმე და მასტრი



ახლა ლუქმაპურს თურმე ამით შოულობდა).

ადრე მასტრი, როგორც წარჩინებული მოსწავლე, სწავლის ქირის მხოლოდ ნახევარს იხდიდა. ამ ერთნახევარ რუპიასაც დიდი გაკვირვებით ავროვებდა მთელი თვის განმავლობაში. ახლა კი, როცა მეხუთე კლასის გამოცდებზე ჩამორჩენილთა შორის აღმოჩნდა და ძლივს გადაიყვანეს მეექვსეში, — დაავალდებულეს, სწავლის ქირა სრულად გადაეხადა. წინა თვეში როგორღაც მოახერხა და ის აუცილებელი სამი რუპია შეაგროვა, მაგრამ ახლა, ამ თვეში, არსად არაფერი არ ერგებოდა და ამიტომ ერთი რუპიის შეგროვებაც კი ვერ შესძლო. დღეს ვადა თავდებდა. დილით თავის ბიძისათვის ეთხოვნა ფული, მაგრამ მას დახმარების ნაცვლად ყვირილი დაეწყო. მასტრის სხვა გზა არა ჰქონდა და ამიტომ შევიდა რესტორანში. ვინც იქ დაიარება, ცხადია, დღიური შემოსავალი 50-100 რუპიაზე ნაკლები არ ექნება, და იმედი ჰქონდა, რომ მის თხოვნას შეიწყნარებდნენ და რაღაც სამ რუპიას არ დაინანებდნენ. მაგრამ რა გამოვიდა?

— მუშაობისა არ მეშინია, არც ვერიდები, — განაგრძობდა ადევლებული ბავშვი, — ყოველგვარ სამუშაოს შევძლებ. ძალსა და ღონეს არ დავიშურებ: ძალიან მინდა სწავლა. ვიმუშავებდი კიდევ გაკვეთილების შემდეგ, საღამომით. მუშაობა სწავლაში ხელს არ შემიშლის. რარიგ გაკვირვებაშიც არ უნდა ჩავვარდე, სკოლას თავს მაინც არ დავანებებ, მე

ხომ უკვე მეექვსე კლასში ვარ...

ბავშვის გულწრფელმა ნაამბობმა შაივალი ძალიან ააღელვა. ათი წლის წინათ, ამ განაწამები არსების მსგავსად, თვითონაც დედ-მამით ობოლი, ასევე იწვოდა სურვილით — გადაეღობა ყოველგვარი სიძნელე და მივიღო უმაღლესი განათლება. თავისი შეუპოვრობის წყალობით შესძლო ოცნების განხორციელება. ახლა უკვე ხელოვნების მაგისტრია. მართალია, მისი ცხოვრების დღევანდელი პირობები დიდად არ განსხვავდება იმ პირობებისაგან, მაგრამ ამისი მიზეზი შაივალის პატიოსნება და კეთილსინდისიერებაა. რასაც ზოგიერთი დასცინის და „უმარიუათობით“ ხსნის. მაგრამ ადამიანი განა „მარტო ფულისათვის სწავლობს? ამჟამად შაივალს, ისევე როგორც მის მრავალ უნივერსიტეტულ აშხანაგს, არ შეეძლო ჩხრიალა მონეტებად. ექვსი თავისი დიპლომი. სამაგიეროდ, მან შეიძინა ცოდნა, გამოიმუშავა მტკიცე ადამიანური თვისებები. ხალხის ტანჯვა და ვაება მუდამ ცხოველთანაგრძობასა და გამოხატულების პოულობს მის გულში.

შაივალმა ერთხელ კიდევ გადახედა პატარას, რომელიც თავჩალუნული მიაბიჯებდა მის გვერდით და იგრძნო, რომ მას არ ძალუძს და არც აქვს უფლება, გაუტრუოს იმედები ამ პატარა მეოცნებეს. იგი ვალდებულია დაეხმაროს მას და ყოველი ღონე იხმაროს, რომ ბავშვმა შესძლოს განათლების მიღება. ის ამბავი, რომ შაივალს, ხელოვნების მაგისტრს, დღემდე არაფერი შესანიშნავი არ



გაუკეთებია, მაგალითად არ გამოადგება სხვას. ამ უმწიკვლო, გულუბრყვილო ბავშვმა უნდა იბრძოლოს ცოდნის მისაღებად. იქნებ იმ დროისათვის, როდესაც იგი სკოლას დაამთავრებს, მდგომარეობა შეიცვალოს, პატიოსნება და კეთილსინდისიერება ღირსეულად დაფასდეს, ამ პატარა ბიჭმაც გზა ეპოვა ცხოვრებაში და თავისი ქვეყნის პატიოსანი მოქალაქე დადგეს.

ახლა შაივალმა იმაზე დაიწყო ფიქრი, თუ სად და როგორ გამოეძებნა ფული მასტრისათვის.

სკოლაში მივიდნენ. შაივალმა მასწავლებელი ინახულა, მან დაადასტურა, რომ მასტრის მდგომარეობა მართლაც მძიმე იყო. ბავშვი ძალიან ნიჭიერი და სწავლის ძლიერი სურვილიც აქვსო. „მე, როგორც აღმზრდელი, ძალიან ვაფასებ, მომწონს ეს კეთილი ბიჭუნა და სიამოვნებით დავეხმარებოდი, მაგრამ აბა, რა ვქნა. ახლა ისეთ ცუდ დროში ვცხოვრობთ, რომ...“

მოთმინებიდან გამოსულმა შაივალმა მასწავლებელს სიტყვა შეაწყ-

ვეტინა და უთხრა: სწორედ იმისათვის ვარ აქ მოსული, რომ ბავშვს უნდა დავეხმარო. მან ჯიბიდან ის ნანატრი თხუთმეტი რუბია ამოიღო, რომელიც რენტგენის სურათისათვის ჰქონდა გადანახული და მასტრის სწავლის ქირა შეიტანა არა მარტო გასული თვისა, არამედ კიდევ ოთხი თვისა წინასწარ. მასწავლებელი და მოწაფე გაოცებულნი მისჩერებოდნენ შაივალს.

— მამ ასე, ჩემო პატარა მეგობარო, აი ხელწერილი იმისა, რომ ოთხი თვის სწავლის ქირა უკვე გადახდილი გაქვს; კარგად შეინახე, არ დაჰკარგო! — უთხრა შაივალმა ბიჭს და ხელწერილი გაუწოდა.

ბავშვმა უსიტყვოდ გამოართვა ქალაქი. იგი ძლივს იკავებდა ცრემლებს, მღელვარებისაგან სიტყვის თქმა ვერ მოეხერხებინა, მაგრამ ყოველგვარ სიტყვაზე უკეთ მისი თვალები მეტყველებდნენ.

შაივალმა ბიჭუნას თავისი მისამართი დაუწერა და უთხრა:

— როდესაც სწავლის ქირის გადახდა დაგჭირდება, წიგნები და რვეულები გექნება საყიდელი, ან, უბრალოდ, ჩემი ნახვა მოგესურვება, ნუ შეგრცხვება. თამამად მოდი ჩემთან...

— აბა, პატივცემულო, შაივალმა გაიარეთ რენტგენი თუ არა? — ამ სიტყვებით შეხვდა მეორე დღეს მმართველი შაივალს.

— რასაკვირველია, — მიუგო დაფიქრებულმა შაივალმა.

— შედეგი როგორია?

— პასუხი ჯერ არ მიმიღია.

— როდის მიიღებ?

შაივალი წამით ჩაფიქრდა.

— მართალი გითხრა, არ ვიცი...

მაგრამ თითქმის დარწმუნებული ვარ, რომ შედეგი კარგი იქნება...

შაივალი არა ცრუობდა. რაღაც განსაკუთრებულმა რენტგენის სხივებმა გააშუქა მისი გული. ამ გულს ხედავდა და ამჩნევდა ყველა. გულს მშვენიერს, მაღლიანს, საღს, მოსიყვარულეს, კეთილშობილი ადამიანის გულს.

ამ დიდ, უსულგულო ქალაქში, სადაც ხალხი უმეტესწილად ავტომატით ცხოვრობს და მოქმედებს. შაივალი ადამიანად დარჩა, ნამდვილ, ჭეშმარიტ ადამიანად. მთავარი კი, რასაკვირველია, ეს არის!

თარგმან  
ნანა თომაშვილია.



ერმა ამ ციფრების თვალსაჩინოებისათვის: თუ გსურთ წარმოიდგინოთ, რა არის მილიონი, აიღეთ ასი დიდი ზომის ქალაქი და თითოეულზე დასვით ათი ათასი შავი ლაქა ან წერტილი (ყოველ ფურცელზე ასი სტრიქონი და ყოველ სტრიქონში ასი ლაქა ან წერტილი). ფურცლები დიდი ოთახის კედლებზე დაჰკიდეთ, თვითონ შუაში დადევით და მიმოიხედეთ — თქვენს გარშემო მილიონი წერტილი იქნება. თუ ამის გაკეთებას სცდით, წინასწარ გაფრთხილებთ: თუ ყოველ წამში სამი წერტილის დასმას მოახერხებთ, მაშინ მთელ ამ საქმეს დაახლოებით 92 საათს მოანდომებთ.

როგორც ხედავთ, ერთი მოსწავლისათვის ამის გაკეთება ძნელია, მთელი კლასი კი იოლად მოერევა ამ საქმეს. თითოეულს 2 საათი მუშაობა მოუწევს. წერტილდასმულ ქალაქებს თუ საკლასო ოთახის კედლებზე დაჰკიდებთ, ძალიან კარგი იქნება, — მთელი კლასი ნახავს, რა არის მილიონი.

ახლა წარმოიდგინეთ, რომ სასკოლო რვეულების გამოშვები ფაბრიკის დირექტორმა განკარგულება გასცა, ერთმანეთზე დააწყონ მილიონი რვეული. როგორ ფიქრობთ, რა სიმალღე ექნება ასეთ წყობას? კილომეტრნახევარი! დამწყებ ალპინისტებს თავისუფლად შეუძლიათ ივარჯიშონ ასეთი სიმალღის მთა-

ზე... ახლა წარმოიდგინეთ, რომ ფანქრების ფაბრიკის დირექტორმა განკარგულება გასცა, ერთმანეთის მიყოლებით, სიგრძეზე დაალაგონ მილიონი ფანქარი „პიონერი“. მოსკოვში დაწყებული ფანქრების ასეთი ჯაჭვი ქ. კალინინს გასცდებოდა — 180 კილომეტრზე გაიჭიმებოდა. ხოლო ფაბრიკა თუ მილიონ ფანქარს ერთ ფანქარში გააერთიანებდა, მას თვრამეტი მეტრი სიგრძე ექნებოდა და 7 ტონას აიწონიდა. ასეთი ფანქრით წერას ზღაპრული გოლიათები თუ შესძლებდნენ...

მილიარდი ათასჯერ მეტია მილიონზე. ჩვენს გარშემო მყოფი საგნების მილიარდჯერ გადიდება რომ შეგვეძლოს, ისინი უზარმაზარნი გახდებოდნენ. ერთმანეთზე დაწყობილი მილიარდი რვეულის სიმაღლე 1500 კილომეტრს მიაღწევდა. მილიარდი რვეულის დათვლას ორმოცდაათი მოსწავლე სამ წელზე მეტს მოანდომებდა, თუ ყოველდღე ექვს საათს იმუშავებდნენ უქმი დღეების ჩათვლით, თანაც იმ პირობით, თუ ყოველ საათში სამი ათას რვეულს დათვლიდნენ.

მილიარდი ფანქრის ჯაჭვი ოთხჯერ და მეტად გარშემოერტყმებოდა დედამიწას. ხოლო თუ მილიარდ ფანქარს ერთ ფანქარში გააერთიანებდით, მისი სიგრძე 180 მეტრს მიაღწევდა, სის-





ქე — 6,5 მეტრს და 7000 ტონას აიწონიდა. თუ ასეთ ფანქარს გულს გამოვაცლიდით და დიდი დიამეტრის მილივით წარმოვიდგენდით, მაშინ მის შიგნით 15 ერთსართულიანი სახლი აიგებოდა და ასამდე ადამიანი დასახლდებოდა, რომლებიც სიამაყით იტყოდნენ: ჩვენ „ფანქარს დასახლებაში“ ვცხოვრობთ!

ახლა უკვე შეგვიძლია დედამიწის სიდიდეს ვილაპარაკოთ. თუ ადამიანები გადაწყვეტდნენ დედამიწის ცენტრის მიმართული ჭის გათხრას, მაშინ მისი სიღრმე 6380 კილომეტრი იქნებოდა. ადამიანი, რომელიც საათში 5 კმ სიჩქარით ჩაეშვებოდა ჭაში, დედამიწის ცენტრის მიმართული ორი თვის შეუსვენებელი დამშვების შემდეგ.

ცხადია, ასეთი სიღრმის ჭის გაბურღვა შეუძლებელია. ჯერჯერობით ნ კმ-ზე უფრო ღრმა შახტი არ არსებობს. ეს კი დედამიწის ცენტრამდე მანძილის მხოლოდ მეთათსედი ნაწილია.

რა იმყოფება დედამიწის მკერვი ფენების ქვემოთ? ამ კითხვაზე ამომწურავი პასუხის გაცემა ჯერჯერობით ძნელია. სამაგიეროდ, დედამიწის ზედაპირი ადამიანებმა კარგად შეისწავლეს და ახლა ცოტა და რჩა ისეთი ადგილი, სადაც მოგზაურს ფეხი არ დაუდგამს.

დედამიწის ზედაპირი დაახლოებით 500 მილიონ კვადრატულ კილომეტრს შეადგენს.

თქვენ იცით, რომ კვადრატული კილომეტრი ფართობის ზომაა. უფრო გასაგებად რომ ვთქვათ, ეს ისეთი კვადრატია, რომლის ყოველი გვერდი კილომეტრს უდრის. კვადრატულ კილომეტრში ასი ჰექტარია.

დედამიწის ზედაპირი 50 მილიარდი ჰექტარია. მთელი ზედაპირის შვიდ მეათედამდე ზღვებსა და ოკეანებს უკავიათ და მხოლოდ სამი მეათედი — სმელეთს.

ჩვენი სამშობლო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკების კავშირი — სმელეთის თითქმის ერთ მეექვსედზეა გადაჭიმული (22,4 მილიონ კვადრატულ კილომეტრზე, ანუ 2240 მილიონ ჰექტარზე). ჩვენი სახელმწიფო ყველაზე ვრცელია დედამიწაზე.

რაოდენ დიდია დედამიწის მოცულობა?

შეგიძლიათ წარმოიდგინოთ კუბური კილომეტრი? ეს ისეთი ყუთია, რომლის სიგანე, სიგრძე და სიმაღლე კილომეტრს უდრის. ასეთ ყუთში ჩაიწყობოდა ქ. მოსკოვის საცხოვრებელი და სხვა დანიშნულების სახლები. დედამიწის მოცულობა კი მილიარდზე მეტ ასეთ ყუთში თუ მოთავსდებოდა.

ძნელია დედამიწის მასის წარმოდგენა, ესე იგი იმ ნივთიერებათა რაოდენობის წარმოდგენა, რომლისგანაც დედამიწა შედგება.

შევეცდები თვალსაჩინოდ მოგიხროთ დედამიწის მასაზე.

წარმოვიდგინოთ, რომ ადამიანებმა გადაწყვიტეს დედამიწის გადატანა სამყაროს სხვა ნაწილში. ამ მიზნით დედამიწის მთელი მასა 100-ტონიან ვეებერთელა ვაგონებში ჩატვირთეს. როგორ ფიქრობთ, რამდენი ასეთი ვაგონისაგან შედგებოდა დედამიწის გადასაზიდი მატარებელი? უსაშველოდ დიდი ციფრი რომ დავასახელო, ვერაფერს გაიგებთ, რადგან ეს ციფრი უცნობია თქვენთვის. უმჯობესია გითხროთ: ასეთი მატარებლის უკანასკნელი ვაგონი ჯერ კიდევ დედამიწაზე იქნებოდა, როცა ელმავალი უშორეს ვარსკვლავს მიუახლოვდებოდა.

ჩვენს სამყაროში ყველაზე სწრაფად სინათლის სხივი მოძრაობს — წამში 300 000 კილომეტრს ფარავს.

თქვენ იტყვი: „რა სიჩქარეა!“ სხივი კი ამასობაში რვაჯერ შემოუბრუნეს დედამიწას.

თქვენ იტყვი: „ო, რა შორს არის მთვარემდე!“ და სანამ ამ ხუთ სიტყვას ამბობდით, სხივმა უკვე მთვარემდე მიადგინა.

დედამიწის გადასაზიდი მატარებლის უკანასკნელი ვაგონის გამცილებელმა ფარანი ასწია და ელმავლის მემანქანეს

ნიშანი მისცა. როგორ ფიქრობთ, როდის მიადგევს მემანქანემდე ფარნი შუქი? 60 ათასი წლის შემდეგ!“ აი, რაოდენ დიდია ჩვენი დედამიწის მასა.

მატარებელს, როგორც წესი, გამცილებლები სჭირდება. ვაგონები ძალიან ბევრია და ამიტომ, ვთქვათ, გადაწყვიტეს ყოველ ოც მილიარდ ვაგონს ერთი გამცილებელი გააყოლონ, მაშინ ამ უცნაური მატარებლის გამცილებელთა ბრიგადის დაკომპლექტებას დასჭირდება დედამიწის მთელი მოსახლეობა — სამ მილიარდ ნახევარზე მეტი კაცი. ამასთან, არ უნდა დაგვავიწყდეს, რომ გამცილებლები 240 მილიონი კილომეტრით იქნებოდნენ დაცილებული ერთმანეთისგან. ეს კი 1,6-ით მეტია, ვიდრე მანძილი დედამიწასა და მზეს შორის. ხოლო თუ რომელიმე გამცილებელი მეზობლის ნახვას გადაწყვეტდა და გზას გაუდგებოდა ქვეითად, საათში ხუთი კილომეტრი სიჩქარით, მაშინ 5 ათას წელს მოანდომებდა მეზობელთან მისვლას.

არიან ისეთი ბურჟუაზიული მეცნიერები, რომლებიც ცდილობენ დაგვარწმუნონ — ხალხი ძალიან მომრავლდა და მალე დედამიწა ველარ შესძლებს მთელი მოსახლეობის გამოკვებასო. მაგრამ თუ დედამიწის მთელ ზედაპირს თანაბრად გავანაწილებთ, მაშინ თითოეულ მოქალაქეს 3,5 ჰექტარზე მეტი მიწა და 8,5 ჰექტარი წყალი შეეზღება, ხოლო 3,5 ჰექტარ მიწაზე მოწვეული პურეული, ბალ-ბოსტნეული და ხილი ერთს კი არა, ათ ადამიანს გამოკვებავდა!

მართალია, დიდი შრომაა საჭირო უდაბნოებისა და ტუნდრების ბაღნარებად გადაქცევისათვის, მაგრამ ადამიანს ძალუძს ეს.

ჩვენს სამშობლოში კოლოსალურ ელექტროსადგურებს ვაგებთ, სელონურ სვლებს ვქმნით, გაგვყავს მსოფლიოში ყველაზე გრძელი არხები, ვაშენებთ ტყეებს...

კაპიტალისტები აცხადებენ — მალე ადამიანებს აღარ ეყოფათ ნახშირი, რკინა, ნავთობი...

ისინი ატყუებენ უბრალო ადამიანებს, რათა ხელთ იგდონ დედამიწის მთელი სიმდიდრე. მართალია, დედამიწის სიმდიდრე ულვევი არ გახლავთ, მაგრამ უზომოდ დიდი კი არის. უკვე ახლა ნახშირსა და ნავთობს მდინარეებისა და ქარის ძალა, მზის სხივების სითბო, ატომური ენერჯია ცვლის.

ლითონების მარაგი დედამიწაზე ძალიან დიდია, მაგრამ თუ ოდესმე რომელიმე მათგანი გამოილია, ტექნიკა მას სხვა ლითონით შეცვლის.





დამარცხება — დამიწება,  
მაგრამ ჩემი ვაჟაკები  
არ მიმცემენ დავიწყებას“.

# თედო ჩიხთყელი

გამოჩენილი ქართველი ფალავანი თედო გიორგის ძე ავალიშვილი დაიბადა 1860 წელს სოფელ ლილოში და იქვე აღიზარდა. მშობლიური სოფლის სიყვარულით ფსევდონიმად ლილოელი დაიმკვიდრა და ამ სახელით შემორჩა ხალხის ხსოვნას.

ჭიდაობა თედო ლილოელმა ჯერ კიდევ ჭაბუკობაში დაიწყო. მის სოფელში ძველთაგანვე ჭიდაობდნენ და თედოც ამ ტრადიციის გამგრძელებლად გვევლინება. სამი ათეული წელი გაატარა საჭიდაო სარბიელზე და თითქმის მუდამ გამარჯვებული გამოდიოდა. გარდაიცვალა 72 წლისა, დაკრძალულია სოფელ ლილოს სასაფლაოზე. მის საფლაოზე მადლიერ შეილებს მარმარილოზე წაუწერიათ: „აქ განისვენებს საქართველოს განთქმული ფალავანი თედო ლილოელი“, ხოლო მეგობარ-ამხანაგებს, — ლექსი:

„აღბულადში ალთა-ალულს  
გავუხუნე მკლავის დონე,  
მცხეთაში კი ლავაშივით  
გავაკარი მიწას ტონე.  
მხოლოდ მიწამ შესძლო ჩემი

თედო ლილოელი ჭიდაობდა ბაქოში, განჯაში, თბილისში... 1895 წელს ბაქოში იმ დროისათვის ცნობილი მოჭიდავე ალთი-აილული წააქცია, მცხეთაში სვეტიცხოვლობისას კი — ტონე თიანელი, ესეც განთქმული მოჭიდავე იყო. გადმოგვცემენ, რომ ამ დღეობაზე ილია ჭავჭავაძე ყოფილა და აღფრთოვანებულა თედოს ილეთებით... დიდ ილიას გამარჯვებულ თედოსთვის შუბლზე უკოცნა და ოქროს თუმნიანიც უჩუქებია.

ცნობილმა ცირკის პატრონმა ნიკიტინმა თედო ლილოელი თბილისში მიიწვია. ქართველი ფალავანი აქ დიდხანს ჭიდაობდა, ხოლო როცა მოხუცობაში შევიდა, მთავარი მსაჯის მოვალეობას ასრულებდა.

სოფელ ლილოში ყოფნისას ვნახეთ ავალიშვილებთან დაცული ზოგიერთი მნიშვნელოვანი რელიკვია, გამოვკითხეთ ხანდაზმულ ადამიანებს, რომელნიც თედო ლილოელის საასპარეზო მოღვაწეობის მოწმენი იყვნენ. აი, რა მოიგონა თედო ლილოელის შვილმა: 74 წლის ვასილ ავალიშვილმა:

„ასე 10-12 წლისა ვიქნებოდი, როცა მამაჩემმა ჭიდაობა დაიწყო. ლილოში ამოვიდა ცირკის პატრონი, ვინმე ნიკიტინი და სთხოვა, წამოდი თბილისში, ცირკში იჭიდავეო. თბილისში მამაჩემმა წააქცია მოჭიდავე ალთი-აილული. დამარცხებულმა მამაჩემი ბაქოში მიიწვია საჭიდაოდ. თურმე ალთიმ მამაჩემს უთხრა: „წამეკეცი და რაც ფულს ავიღებ, სულ შენი იყოსო. მამაჩემმა უთხრა: „შენ შენი ეცადე, მე ფულზე არ წაგეკევიო“, და იქაც დაჯაბნა ალთი-აილული. მამაჩემი ნიკიტინის ცირკში ეჭიდავა კულა გლდანელს. კულამ თავისი ვერცხლის ქამარი აჩუქა, რომელზეც წარწერილია: „თედო ავალიშვილს“.


1919 წელს თედომ თბილისის ვერის ცირკში წააქცია მოჭიდავე ურეხა, ხოლო 65 წლისა ეჭიდავა სანდრო კანდელაკს. პრიზი მამას მისცეს, თუმცა კანდელაკმა დასძლია.

მამაჩემი ხაშმელების სიძე იყო და ახალგაზრდობაში იქაც ჭიდაობდა, ორჯერ წააქცია პატარძელული ილიკო ფაფაშვილი, ხოლო სამეზობის დღეობაზე, ერთ კარგ ვაჟაკს, კაკაბეთელ მოჭიდავე ნიკა მჭედლიშვილს დააყრევინა ფარ-ხმალი.

ერთხელ ხმა გავარდა, ლილოელს ნორიოელი ღონიაშვილი დაეჭიდაო. ნორიოდან ლილოში დღეობაზე მოვიდნენ ვასო და სასონა ღონიაშვილები და გაბრაზებული თედო დაამშვიდეს: „მოგონილია, შენთან შეჭიდებას აბა ვინ გაბედავსო“.

ასეთია ხალხური გადმოცემები განთქმული მოჭიდავე ფალავნის თედო ავალიშვილის შესახებ, რომელმაც თავისი ერის გულში დაუფიქყარი სახელი დაიმკვიდრა.

ვახტანგ სილაგონიძე.







თქვენ უკვე გაცნით ავტომობილის და მოძრაობის წესების წარმოშობის მოკლე ისტორიას. ახლა შევუდგეთ გზებზე მოძრაობის წესების შესწავლას.

ცხოვრების რომელ სფეროშიაც უნდა მოგიწიოთ საქმიანობა, ავტომანქანის ტარება ყველამ უნდა იცოდეთ, მაგრამ მოძრაობის წესების უცოდინარად შეუძლებელია მისი მართვა. ამასთანავე ამ წესების ცოდნა ერთნაირად სჭირდება მძღოლსაც და ქვეითად მოსიარულესაც.

გზებზე მოძრაობის წესებს უცვლელად გადმოგცემთ, გარდა მცირეოდენი განმარტებისა.

დავიწყეთ საგზაო ნიშნები. სატრანსპორტო საშუალებათა და ქვეითად მოსიარულეთა მოძრაობის მოწესრიგებისა და უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად გზებზე იღებება შესაფერისი საგზაო ნიშნები.

1978 წლის პირველი იანვრიდან საბჭოთა კავშირში შემოღებულია საგზაო ნიშნები, რომლებიც შემდეგ ჩგუფებად იყოფა:

1. გამაფრთხილებელი. 2. ამკრძალავი. 3. მიმითითებელი. 4. მაჩვენებელი.
- გარდა ამისა, შემოღებულია ნიშნების დამატებითი აღნიშვნები და საგზაო მაჩვენებლები.

### გამაფრთხილებელი

#### ნიშნები

ეს ნიშნები მძღოლს აფრთხილებს, რომ ის უახლოვდება გზის იმ უბანს, სადაც მოძრაობის დროს მეტი საშიშროებაა. ამიტომ მძღოლი ვალდებულია შეამციროს სიჩქარე, აგრეთ-

ვე მიიღოს სხვა ზომები უსაფრთხოების უზრუნველსაყოფად.

**გამაფრთხილებელ ნიშნებს აქვს ფითელი ფარით მოპარული ელემენტი საშუალო სიმაღლის ფორმა.** მათ შიგნით აღნიშნულია მოსალოდნელი საფრთხის სიმბოლური გამოსახულება.

1. 1. „რკინიგზის შლაგბაუმიანი გადასასვლელი“. რკინიგზაზე გადასასვლელი, სადაც დადგმულია შლაგბაუმი ან ნახევარშლაგბაუმი.

1. 2. „რკინიგზის უშლაგბაუმი გადასასვლელი“. რკინიგზაზე გადასასვლელი, სადაც არაა შლაგბაუმი ან ნახევარშლაგბაუმი.

1. 3. „ტრამევის ხაზის გადაკვეთის ადგილი სახიფათო პირობებში“.

1. 4. „თანაბარი მნიშვნელობის გზების გადაკვეთა“. თანაბარი მნიშვნელობის გზების გადაკვეთის ადგილი.

1. 5. (ა) „მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთა“. ადგილი, სადაც მთავარი გზა ჰყვეს მეორეხარისხოვანი გზა.

1. 5. (ბ, გ) „მთავარ გზასთან მეორეხარისხოვანის შეერთება“. ადგილი, სადაც მეორეხარისხოვანი გზა შეერთდება მთავარ გზას. მარჯვნიდან — 1. 5. ბ. მარცხნიდან — 1. 5. გ. **შენიშვნა.** თუ გზაზე დგას ნიშანი 1. 5. (ა, ბ, გ), მაშინ სხვა გზების გზაჯვარედინების წინ იღებება ნიშნები 1. 6. ან 2. 5.

1. ბ. „მთავარი გზის გადაკვეთა“. ეს ისეთი გზის გადაკვეთაა, რომელზეც ვავლის უპირატესი უფლება აქვს მოძრავ ტრანსპორტს. მძღოლი, რომელსაც ეს ნიშანი აფრთხილებს, გზას უთმობს გადასაკვეთ გზაზე მოძრავ ტრანსპორტს.

1. 7. „მოწესრიგებული გზაჯვარე-

დინი (გზის უბანი)“. გზაჯვარედინი ან გზის უბანი, რომელზედაც მოძრაობა წესრიგდება მილიციელ-რეგულატორის მიერ ან შუქნიშნით.

1. 8. „გასახსნელი ხიდი“. გასახსნელი ხიდი ან წყალზე გადასასვლელი ბორონი.

1. 9. „სანაპიროზე გასასვლელი“. ადგილი, სადაც გზა გადის სანაპიროზე.

1. 10. (ა, ბ). „სახიფათო მოსახვევი“. მცირე რადიუსის მქონე გზის მომრგვალებული მონაკვეთი ან ისეთი ადგილი, სადაც ხილვადობა შეზღუდულია. (მიმართულებები: მარჯვნივ მოსახვევი — (1. 10. ა.) მარცხნივ მოსახვევი (1. 10. ბ.).

1. 11. (ა, ბ). „მიხვეულ-მოხვეული გზა“. გზის უბანი სახიფათო მოსახვევებით (მიმართულებები: მარჯვნივ — 1. 11. ა; მარცხნივ — 1. 11. ბ. ამ ნიშანზე იგულისხმება, რომ იწყება გზის მიხვეულ-მოხვეული უბანი და პირველად მარცხნივ ან მარჯვნივ მოსახვევია.)

1. 12. „ციცაბო დაღმართი“. თავდაღმართი, რომლის დახრილობა ნიშანზე ნაჩვენებია პროცენტებით.

1. 13. „ციცაბო აღმართი“. აღმართი, რომლის დახრილობა ნაჩვენებია ნიშანზე.

1. 14. „უსწორმასწორო გზა“. გზის მონაკვეთი, სადაც ტრანსპორტის სავალი ფენილი უსწორმასწოროა. (ტალღისებური, ორმოებიანი და სხვა ამგვარი).

1. 15. „მოლიბულები გზა“. გზის ისეთი უბანი, სადაც მოცურების საშიშროება გაზრდილია მეზობელ უბანთან შედარებით.

1. 16. „ქვის ასხლეტა“. გზის უბანი, სადაც მანქანის თვალმა შეიძლე-





ბა აიხსლიტოს ქვა, ლორღი ან სხვ.  
 1. 17. (ა, ბ, გ) „გზის შევიწროვება“. ადგილი, სადაც გზა ვიწროვდება: ორსავე მხრიდან — 1. 17. ა; მარჯვნიდან — 1. 17. ბ, მარცხნიდან — 1. 17. გ.  
 1. 18. „ორმხრივი მოძრაობა“. გზის უბანი ორმხრივი მოძრაობით, რომელსაც წინ უძღვოდა ასეთივე უბანი მხოლოდ ცალმხრივი მოძრაობით.  
 1. 19. „ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი“. გადასასვლელი, რომელიც აღნიშნულია მოხაზვით ან ნიშნით — 4. 18.  
 1. 20. „ბავშვები“. ადგილი, სადაც მოსალოდნელია ბავშვების ხშირი გამოჩენა ტრანსპორტის სავალ ნაწილზე. (აღნიშნავს სკოლის ან სხვა საბავშვო დაწესებულების სიახლოვეს).  
 1. 21. „სარემონტო სამუშაოები“. გზის უბანი, სადაც წარმოებს საგზაო სამუშაოები.

1. 22 (ა, ბ). „ცხოველები გზაზე“. გზის სავალ ნაწილზე ცხოველების მოსალოდნელი გამოჩენის ადგილი — 1. 22. ა; გარეული ცხოველების გამოჩენის ადგილი — 1. 22. ბ.  
 1. 23. „ქვების ცვენა“. გზის უბანი, სადაც მოსალოდნელია მეწყერი, ზვავი, ქვის ცვენა.  
 1. 24. „გვერდითი ქარი“. გზის უბანი, რომელზეც მოსალოდნელია ძლიერი გვერდითი ქარი.  
 1. 25. „სხვადასხვა საშიშროებანი“. გზის უბანი, რომელზეც არის საშიშროებანი და რომელთაც არ ითვალისწინებს სხვა ნიშნები (კლდის შევრთვები, გზის ჩაწეული ნაპირები და სხვ.).  
 გამაფრთხილებელი ნიშნები, გარდა ნიშნისა 1. 6, იდგმება დაუსახლებელ პუნქტებში სახიფათო უბანამდე 150-800 მეტრის დაშორებით. (ასეთ ადგილებში სიჩქარე დიდია და მძღოლი ადრევე უნდა იქნას


გაფრთხილებული); დასახლებულ პუნქტებში კი 50-100 მეტრზე, აუცილებლობის შემთხვევაში ნიშნები იდგმება სხვა მანძილზეც. ასეთ შემთხვევაში მანძილი მითითებულია დამატებით დაფაზე.  
 ნიშანი 1. 6. „მთავარი გზის გადაკვეთა“, იდგმება უშუალოდ მთავარი ქუჩის გადაკვეთასთან. დაუსახლებელ პუნქტებში ამ ნიშანთან აუცილებლად იდგმება დამატებითი დაფა.  
 ნიშნები: 1. 1, 2, 2, 1. 8, 1. 9, 1. 20 და 1. 21. დაუსახლებელ პუნქტებში აუცილებლად მეორდება. მეორე ნიშანი იდგმება სახიფათო უბანამდე არა უახლოეს 50 მეტრისა.  
 ნიშნების მომდევნო ჯგუფზე საუბარი გვექნება ჟურნალის შემდეგ ნომერში.  
 ვაჟა გაგაშვილი,  
 თბილისის ავტონსპექციის ინსპექტორი.

გაბრძილება შემდეგ ნომერში

## გ ა მ ა უ რ თ ი ლ ე ბ ე ლ ი ნ ი შ ნ ე ბ ი

1.1. შლავაუშინი რკინიგზის გადასასვლელი	1.2. უშლავაუშინო რკინიგზის გადასასვლელი	1.3. ტრამვაის ხაზის გადაკვეთა	1.4. თანაბარ-მნიშვნელოვანი გზის გადაკვეთა	1.5. (ა) მეორეხარისხოვანი გზის გადაკვეთა	1.5. (ბ) მთავარ გზასთან მეორეხარისხოვანი გზის შეერთება	1.6. მთავარი გზის გადაკვეთა	
1.7. მოწესრიგებული გზაჯვარედინი.	1.8. გასახსნელი ხიდი	1.9. სანაპიროზე გასასვლელი.	1.10. სახიფათო მოსახვევი	1.10. სახიფათო მოსახვევი	1.11. მიხვეულ-მოსვეული გზა	1.11. მიხვეულ-მოსვეული გზა	1.12. ციცაბო დაღმართი.
1.13. ციცაბო აღმართი.	1.14. უსწორმასწორო გზა	1.15. მოლიპული გზა	1.16. ქვის ასხლეტა	1.17. გზის შევიწროება	1.17. გზის შევიწროება	1.17. გზის შევიწროება	1.18. ორმხრივი მოძრაობა
1.19. ქვეითად მოსიარულეთა გადასასვლელი	1.20. ბავშვები	1.21. სარემონტო სამუშაოები.	1.22. ცხოველები გზაზე	1.22. ცხოველები გზაზე	1.23. ქვის ცვენა	1.24. გვერდითი ქარი	1.25. სხვადასხვა საშიშროებანი





# სახარე

მალვა გიგაშვილი

მხატვარი თ. ხუციშვილი

მ ო თ ხ რ ო ბ ა

სოფელი ომში წახულებისათვის საჩუქრებს ამზადებდა. იარაღიანთ მარაზში ბერიკაცებმა ათი გოდორი ძუძუვაშლა, ხეებეჭურა მსხალი და კომში მიიტანეს, ბებიებმა და დიდებმა — ასი წყვილი მატყლის წინდა, დებმა და რძლებმა — ხუთასი ჩურჩხელა; უფროსკლასელმა გოგობიჭებმა — სამი ტომარა თხილი და კაკალი. საბარგო მანქანას ელოდნენ

რკინიგზის სადგურში თავიანთი წვლილის ჩასატანად. ეს იცოდა მეექვსეკლასელმა გარსომ და გული ეთანადრებოდა — ჩემს ძმას, სოლიკოს, ვერაფერს ვუგზავნიო. კარგა ხანს იფიქრა, რა მოვახერხოო. ბოლოს გადაწყვიტა, სხვენში რომ აკიდოები მიკიდა, რთველში სიბეჭითისათვის ბრიგადირ პაპა სიკოს აჭრილი აკიდოები, ხუთივეს გავუგზავნიო. მერე მიხვდა: ყურძენს ისე

შორს რგორ წაიღებენ, სულ დაეკულიტებათ... ისეთი რამე უნდა გავუგზავნო, რაც არც დიხსრისება და არც გაიყინებაო.

— მაშალო! — სიხარულით წამოიძახა. — გინდ დაიბეგვოს, არ დალპება, გინდ გაიყინოს, არ გაფუჭდება... ცოტა სიმყავე დაეკარგება, სოლიკოს ხომ ჩამოქონდა ჭვარპატიოსნის ტყიდან. სარდაფის კუთხეში ფუჩიჩე ყრიდა და, თოვლს რომ დადებდა, ყინვები რომ დაიწყებოდა, გიყვარდეს ქეიფი — დარბილდებოდა კიდევ და დატკებოდა კიდევაც. ერთ შემოდგომაზე ხომ მეც გამიყოლა სოლიკომ. განა დამავიწყდა, სადა დვას ვეებერთელა მაშალოები. ზეგკვირაა. ჰოდა, დილითვე ავყვები რიყის ნაპირს, მესაკირეების უბნიდან ჭალაში ავალ, ჯაგრცხილიანს ავცდები და დიდ ტყეში შევერევი კიდევ...

შაბათ საღამოს გარსომ ჭრელი ხურჩინი, გრძელი წალდი და ერთი მჭადპურა ქუჩის კართან ბებერი თუთის ფულუროში დააბინავა, რათა დილაადრიან შეუმჩნევლად წახულიყო.

გათენდა კვირა, მაგრამ ვინ გაუშვა. ხან რა დაასაქმეს, ხან რა: აბა, შენს გაზრდას, სურებით წყალი მოარბენინე; აბა, ფიჩხი დამიკუწე, გული სტუმრის მოსვლას მეუბნება; აბა, ის გაგარეულებული მამალი გოდორში დამიმწყვდიეო და ამასობაში შუადღეც ჩამოდგა. გარსომ თავისი მაინც არ დაიშალა: ისელთა დრო თუ არა, თუთის ფულუროდან გამოიღო ხურჩინი, ერთი კიდევ მიიხედ-მოიხედა, თვალი ხომ არავინ შემასწროო...

აჩინებულში რომ ავიდა, ხურჩინი მხარზე გადაიკიდა, წალდი ხმალივით დაიკიდა ქამარზე — ნადირი არსად შემეფეთოს, მარჯვედ მქონდეს მოსაგერიებელიო. ცვიდან დაშვებულ ტყიან კალთას აჰყვა. ნიაღვრისაგან დახრამული ბილიკის ორივე მხარეს ასკილის, იელის, ჯაგრცხილის, ზღმარტლის, შინდისა და თხილის ტანმორჩილი ხეები და ბუჩქები ხალიჩასავით იყო აჭრელებული. ზემოთ და ზემოთ უფრო მსხვილი და მაღალი მურყნის, რცხილის, წიფლისა და მუხის ერთმანეთზე ტოტებგადახვეული და აქორჩილი ხეები ნაირფერებდალ ბრწყინავდა. მწვანე, მრეშფერაუზი, ლალისფერი, მკრთალი ქარვისა და ბაჯაღლო ოქროს ფერები ისე იყო აელვარებული თუ ამღერებული, რომ გაცეცხულ ბიჭს თავადაც მღერა მოუნდა. ერთხანს გაირინდა და უცებ ალტაცებით შესძახა:





ლაშაზია ტყე,  
მზე დანათის ზედ,  
მღერის ყველა ხე,  
მეც ავმღერდი, ჰე!..

დიდი წიფლების პაწია ჩიტებმა შეიფრთხილეს, ღრმა ხევიდან ნაკადულის ლიკლიკიც მოისმა, ხეთა შტოები აჩურჩულდნენ — ეს რა ხმა გაისმო. გარსომ ლაღად შეისუნთქა მოიხფრო ჰაერი და გზა განაგრძო. ახლა წყლის ჩქამი აღარ ისმოდა, ხის ფოთლები გასუსულიყვნენ, ჩიტები თითქოს სადღაც გადაკარგულიყვნენ, ტყე კვლავ დამგვანებოდა ზღაპრულად მძინარე სამთავროს. ბიჭის დაძაბულ სმენას სიჩუმის იდუმალდება ურუანტელს ჰგვრიდა. ხუთიოდე სუნთქვის ხანს შეჩერდა კიდეც, მაგრამ ბიჭურმა სიკერებმა მაინც წინ გადაადგმევინა ფეხი. ტყის ბილიკმა ნაკვებისაკენ რომ გაუხვია, გარსომ პირდაპირ დაბურულ ტყეში განაგრძო სვლა. ერთი გვერდაც აიბრინა და თვალწინ გადაეშალა ჭვარპატიოხნის კალსავით მრგვალი და მცირე მინდორი. ამ კორდის შუაში იდგა ერთადერთი უზარმაზარი ცაცხვი. მის ქვეშ უმწვეო მოხუცივით გარინდებულყო კედლებდაშარული, ხავსმოღებული პატარა ნასაყდრალი. თითქმის დამწვებულ კრამიტებზე ამოზრდილი ცაცხვის მორჩი ქორივით ედგა. კორდის ირგვლივ ტყის ნაპირებზე მაჟალოსა და პანტის ხეები და მალალ რცხილებზე ხვეულად ასული კრიკინა ვაზები მოჩანდა. მათ წინ სამი ყვევარი ხარკამეჩი დაყრილიყო და ზანტად იცოხნებოდა. ადამიანის ჭაჭანება არ იყო. კამეჩები კუპრში ამოვლებული დევებივით იბღვირებოდნენ, მაგრამ გარსოს არ შეშინებია. პირიქით, მათმა დანახვამ დაამშვიდა. ტყიდან მოღზე ჭერ ხუთი ნაბიჯი არ გადაედგა, რომ კამეჩებმა იგრძნეს მათს მყუდრო სავანეში ვილაცისა თუ რაღაცის შეჭრა და უჩვეულო სიმკვირცხლით წამოიშალნენ. გაქანდნენ, მაგრამ რა გაქანდნენ!.. მათი დამნახვი დარწმუნდებოდა, რომ ტყუილად არ არის ნათქვამი: კამეჩმა დაიყოყნა: გავიქცეოდი, მაგრამ მეშინია, ქვეყანა არ დავანგრეო.

ბიჭი გონს რომ მოვიდა, მალალი მაჟალოს ხის კენწეროზე აღმოჩნდა. ხელ-ფეხი ხის ტანისათვის შემოეჭდო, კისერი ორკაპა ტოტში გაეყო და დაჭყტილი თვალებით დასცქეროდა უცნაურ დოღს: კამეჩები ერთმანეთის მიყოლებით ვეება ცაცხვისა და პატარა ნასაყდრალის გარშემო წრიულად დაქენაობდნენ... და-

სუქებულსა და დახვენებულ კამეჩებს რა დაღლიდა! გარსო გაოცებულ იყო და შეფიქრანებულიც. მაინც მალე მოისაზრა: ალბათ, კამეჩებმა მე კი არა, ჩემს წითელ ხურჩინს მოჰკრეს თვალი და იმიტომ ატრუვდნენო... ცოტა დამშვიდდა, რამდენიმე ტოტით დაბლა ჩამოინაცვლა, ფეხი მოიმაგრა, და დაყვავებით დაიძაბა:

— თვით მაამ... თვით მაამ!.. კამეჩებო, ბიჭი ვარ, ბიჭიი!.. მაამო, მაამო!..

კამეჩებმა უკლეს რბენას — მიუხედავად იმისა, რომ თავები მალლა არ აუწევიათ, დარწმუნდნენ, ადამიანი იყო მათთან, და მორჩილი ბავშვივით გაჩერდნენ. გარსომ გული ისევ საგულეში დაიგულა. ბიჭმა ახლალა შენიშნა, რომ ყველაზე მსხმოიარე მაჟალოს ხეზე ასულიყო. ისევ კენწეროზე მოექცა. შეარხია. მერე ჩამოჰყავა და ყველა ტოტით დაბერტყა. ხის ირგვლივ მოლი ატმისხვლა, ლოყაშეგარდისფერებული მაჟალო ვაშლით იყო მოფენილი. ბიჭი ქვედა ტოტზე ჩამოვიდა და ჩამოსტა. იქვე მიგდებულ ხურჩინში დაიწყო მაჟალოს ჩაყრა. ყველაზე მსხვილებსა და ლამაზებს არჩევდა. ხურჩინის ორივე თავით პირთამდე მოყარა, სადილიკლოებში გაყრილი ყუითანვივით წვრილი თასმები მოსწია, პირი მოუკრა და გამოკვანდა. მერე წალდი მოძებნა და ხურჩინი მხარზე გადაიკიდა. ძალიან ემძიმა ტვირთი, მაგრამ აღარაფერი მოაკლო.

მზე ჩადიოდა და ტყე თანდათან იქუფრებოდა. გარსო ჭვარპატიოხნის კორდიდან დაეშვა. მძიმე ტვირთით არც თავქვე სიარული იყო ადვილი... მაინც შეუსვენებლად მიდიოდა. ამა-სობაში ისე დაბნეულა, თითქოს დიდ დარბაზში ყველა ჭალი ერთად ჩაქრაო. გარსო აჩქარდა. ღორღიან მოსახვევში ქვა ფეხქვეშ გადაუბრუნდა, დასხლტა, დიდ ქვას მიეხეთქა და ისეთი ხმა გამოსცა, თითქოს ყორე ჩამოინგრაო. ცოტა მოშორებით, რიყის ხევში, ტურები აკვილდნენ, საღვაც მგელმაც დაიჟმუვლა, მაგრამ ბიჭის გულს შიში აღარ ეკარებოდა. გაკერპებული მიდიოდა სოფლისაკენ. ქვემოთ, შარავის გასწვრივ, რამდენიმე სარკმელი შორეული ვარსკვლავებივით აკიფდა. გარსო მარუახლოვდებოდა, მათი შუქი კი განუწყვეტლივ იზრდებოდა და მისკენ მიისწრაფოდა.

თავის სახლს რომ მიუახლოვდა, უცნაური ურჩამული მოესმა. ეზოში სულმოუთქმელად შევარდა, აივანზე შეკრებილი მეზობლების თა-

ბუბს მოჰკრა თვალი და გულზე გაეხედა დაუბრუნდა. მწარედ გაიფიქრა: შარავან მამარჩემის დაღუპვის ცნობა მოვიდა, ახლა ჩემი ძმისა არ იყოსო... ციებიანივით გააკანკალა, ხურჩინი ბებერ თუთას მიაყულა, წალდი ლობში გახირა, დაღლილობა მოისხლიტა, აივანზე ელვასავით აღჭრა, თვალში თავისი ცოცხალი ძმის თვალის სინათლე მიეფრქვია და შესძახა:

— სოლიკო!..

დაბარბაცებული ბიჭი უფროსმა ძმამ აიტაცა, წითელვარსკვლავიან მკერდზე მიიკრა, ჩაკოცნა, მერე ოდნავ განზე დააყენა; გულში გაივლო: ჩემს აქ არ ყოფნაში როგორ გავრდილო, და გაკვირვებით ჰკითხა:

— ამ ღვინობისთვის ბოლოს სად გიწუწავნია ბიჭო?!

ამის გაგონებისთანავე დედამ გარსოს მხრებზე მოუსვა ხელი და გაუწყრა:

— ჰაი, შე არ სასიკვდილე, შენა... მთელი დღე სად გადამეკარგე, ასე რამ დაგიჭანჭანა ხალათი?!



ბიჭმა მოკლედ უამბო ყველაფერი, მერე ოთახში შევიდა ოფლით დახველებული ხალათისა და პერანგის გამოსაცვლელად. დედაც შეჰყვა, მძიმე ხურჩინისაგან გადახეხილსა და ჩალილავებულ მხრებზე თაფლის სანთლისა და ზეთისუნის ზეთით მონადულე მალამო მოუსალბუნა. თანაც ახარა: დედა ენაცვალოს ჩვენს სოლიკოს, თავისი ტანკის ქვეშეხით მტრის „ფეხვები“ აუფეთქებია... სარდალს, ორდენი რომ ჩაუბარებია, უთქვამს, რა პატარა ბიჭი უფილხარო, და სამხედრო სკოლაში გაუმწესებია. ახლა შვებულდება აქვს. ერთ თვე აქ იქნება და მერე ოფიცერთა სასწავლებელში წავა...

გარსომ გადაწყვიტა: მაშ მაჟალოს სოლიკოს თანამებრძოლებს გავუგზავნიო.

დედა-შვილი აივანზე რომ გამოვიდა, მამიდასა და დას სუფრის გაწყობა დაემთავრებინათ. სოფლის უხუცესს — სიკო ყარაულაშვილს ყველა სულგანაბული უსმენდა. მან ბავშვების სადღეგრძელო რომ წარმოთქვა, გარსოც შეაქო:

— სახარეა, სახარე მოზვერია ეს ბიჭი... სოლიკო თუ სახელოვანი ვაჟკაცია და ჩვენი სიამაყე, არც გარსევანია ნაკლები: სწავლაში ხომ პირველია, პურის მკაში ხომ ცისმარდღე გვეხმარებოდა, რთველში ხომ თავი გამოიჩინა და ახლა ფრონტლები-სათვის გასაგზავნად მაჟალოს ჩამოტანაც პატარა ამბავი არ გეგონოთ, — ხალხისა და მამულის სიყვარულია, ვაჟკაცური გულის შუქაა! გაიზარდოს!





**გაკვეთილი პირველი**

**ვისწავლოთ ქსოვა**

ქსოვა გამოყენებითი ხელოვნების ერთ-ერთი უძველესი დარგია ჩვენში. ქართველი ქალი სახელგანთქმული იყო თავის ხელსაქმით. ნაკსოვებით განსაკუთრებით ცნობილია ბევსურეთი, თუშეთი, იქაურ ფარღაგებს, წინდებს, პაქიკებს, ხალიჩებს დღესაც ალტაცებაში მოჰყავს მნახველი. ქსოვა ქართველი ქალის მხნე და გამრჩე ხასიათთან არის დაკავშირებული. ძველად ქალები თვითონ ჩეჩავდნენ და ართავდნენ მატყლს, ძაფს თავიანთი ხელით გამზადებულ საღებავით ღებავდნენ. ქართული ჩუქურთმისათვის ქმნიდნენ ნაირფერ ნაყმს...

დღესაც კი, როცა ტექნიკამ განვითარების უმაღლეს საფეხურს მიაღწია, როცა სატრაქიკო-ტაუო ფაბრიკები უამრავ სხვა-

დანსვა ძვირფას ნაქსოვს უშვებს, ქალის ხელი მაინც ძაფისაკენ ისწრაფვის, ძაფის არჩევანი კი დიდია: ბამბის, შალის, აბრეშუმისა და სინთეტური ბოქოს ნართისა...  
მავედებო, ბევრ თქვენთაგანს, უთუოდ, სურვილი აქვს ისწავლოს ქსოვა. დღეს გთავაზობთ ქსოვის პირველ გაკვეთილს.

**ქსოვისათვის საპირი ძირითადი იარაღები**

ქსოვის ძირითადი იარაღებია: საქსოვი ჩხირები და უაინხალი. მათზეა დამოკიდებული ნაქსოვის ხარისხი. ჩხირები სხვადასხვა ზომისაა და ეს ზომები დადგენილია მათი სისქის მიხედვით. მაგ. № 1 ჩხირის სისქე (დიამეტრი) 1 მმ-ია, № 2 — 2 მმ და ა. შ.

ჩხირების სისქე უნდა შეეფარდებოდეს ძაფის სისქეს, თორემ ნაქსოვი უღამაზო გამოვა.

ჩხირების შერჩევას დროს აუცილებელია შემდეგი წესის დაცვა: ჩხირების სისქე ორჯერ მეტი უნდა იყოს შალის ძაფის სისქეზე. ქსოვის დროს უფრო ხშირად იყენებენ № 2, 3, 5, ჩხირებს.

**ქსოვის ტექნიკა**


ნაქსოვი ტანსაცმელი, ისევე როგორც სხვა სამოსი, უნდა უპასუხებდეს თანამედროვე მოთხოვნებს. ხმარებიდან გამოსული ძველი ნარღვევი კოფთის, ქულის და წინლის ძაფისაგან შეიძლება აწილი ფერის, მოდური სამოსის მოქსოვა. დარღვეული ნართი მულოებდა უნდა შეტრიათ, გარტყნოთ, შედგებოთ სასურველ ფერად, გააშროთ და გორგლად ამოახვიოთ. მერე კი ქსოვას შეუდგეთ.

**თვლების პარამა**


ქსოვა იწყება ჩხირებზე თვლების აკრფვით. არჩვენ თვლების ორ სახეს: წალმა და უკულმა თვლებს.

თვლების ასხმა ასე ხდება: ორად მოკეცილი ძაფი დავისვით მარცხენა ხელზე, გამოვსდლო მარცხენა ხელის ცერს და საჩვენებელ თითს ისე, რომ ძაფის ორივე ბოლო მოიქცეს ხელის გულში, ხოლო დანარჩენი სამი თითი თავისუფლად იქერდეს გამავალ ძაფს, გორგლიდან გამოსული ეგრეთწოდებული სამუშაო ძაფი ცერს მხარეს უნდა იყოს, თავისუფალი ბოლო კი, მის საწინა-


აღმდგომ (იხ. ნახატი № 1). შემდეგ ორივე ჩხირი დაიკირეთ მარცხენა ხელში და გაატარეთ ცერსა და საჩვენებელ თითს შუა გამოდებულ ძაფის ქვეშ, გააკეთეთ მთლიანი შემობრუნება ისე, რომ ჩხირებზე მივიღოთ პირველი თვალი. (იხ. ნახ. № 2).




ნახ. 1



ნახ. 2



ნახ. 3



ნახ. 4

შეაბრუნეთ ჩხირები ქვემოთ და გაატარეთ დიდ თითზე შემობრუნებული ძაფის ქვეშ. ჩხირე.

ბის წვერი მოსდეთ, საჩვენებელ თითზე უკველებზე მდებ. რომლის მოკმეველ მოუღებოთ მეორე თვალი. (იხ. ნახ. № 4-№ 1).



ნახ. 5

ამგვარად ავასხამთ იმდენ თვალს, რამდენიც გვჭირდება. (ნახ. № 5). შემდეგ ერთ ჩხირს ფრთხილად გამოძირაობთ და მეორეზე თავისუფლად განლაგდება თვლები.

**წალმა თვლების ქსოვა**

თვლებასხმული ჩხირი დაიკავებთ მარცხენა ხელში, თავისუფალი ჩხირი კი მარცხენაში. სამუშაო ძაფი არის მარცხენა ხელის მხარეზე ჩხირების უკან პირველი თვალი გადაიტანეთ მოუქსოვლად მარცხენა ჩხირზე. შემდეგ მარცხენა ჩხირი მარცხენა თვალში შეიყვანეთ. გამოსდეთ საჩვენებელ თითზე გადახვეულ ძაფს და ძაფის თვალში გამოტარებით უკან გამოიღეთ. გამოქსოვილი თვალი გადმოვა მარცხენა ჩხირზე. (ნახ. № 6).



ნახ. 6

**უკულმა თვლების ქსოვა**

უკულმა ქსოვის დროს სამუშაო ძაფი ჩხირის ზემოდანაა. მარცხენა თავისუფალი ჩხირის წვერი შეგყავთ გამოქსოვი თვლის ქვემოდას. ძაფი, რომელიც საჩვენებელ თითზე გაქვთ, გამოსაქსოვი თვლის გვერდითაა. გამოსდეთ ძაფს მარცხენა ჩხირის წვერი და გამოიღეთ უკანა თვლის გამოტარებით. მიიღებთ უკულმა გამოქსოვი თვალს, რომელიც ყოველთვის გადადის მარცხენა ჩხირზე. (ნახ. № 7).



ნახ. 7

**თავშლისებური ქსოვა**

ამ დროს უკულა რიგი ექსოვება წალმა თვლებით: 1 რიგი წალმა; 2 რიგი წალმა (ნახ. № 8).








ნახ. 3

**წინდინსაპური მსოვა**

ასეთი ქსოვის დროს  
1 რიგი — წალბა; 2 რიგი —  
უკულმა. შემდეგ კი იქსოვება  
ნაყმის მიხედვით წალბა თვლი-



ბზე გამოვქსოვთ წალბა. უკულ-  
მა თვლებზე — უკულმა. (ნახ.  
№ 4)

მორი დაბრძმ.

# კუჩინაგია

## ბაკვეთილი მორა

იმისათვის, რომ მოვამზა-  
დოთ „ცივი“ ნამცხვარი, მასა-  
ლად იქონიეთ:

500 გრ ზისკვიტი; 1/2 ნათა-  
ლი ჩაის ტიქა მოხალუდი, დაჭ-  
რილი ნიგოზი; 1 ქილა შესქე-  
დებული რძე; 200 გრ კარაქი;  
1 სუფრის კოვზი უნაღდეკო  
უვა; 1 სუფრის კოვზი კონი-  
აკი; 1/2 ნათალი ჩაის ტიქა  
შაქრის პუდრი; ვანილი;

### მომზადების წესი

ზისკვიტი დაფხვნით და  
ჭერ ნიგოზი შეურიეთ. შემდეგ  
კი უვა და კონიაკი. კრემი ასე  
მოამზადეთ: კარაქი გათეთრე-  
ბამდე გათქვიფეთ და შეური-  
ეთ შესქედებული რძე, ვანი-  
ლი. კრემს კი შეურიეთ ბის-

კვიტის ნარევი. მიიღებთ ცომს.  
დაუავით იგი სასურველი მოყ-  
ვანილობის პატარ-სატარა ნა-  
წილებად. ამოავლეთ კაკალშე-  
რეულ შაქრის პუდრში და შე-  
დგით მაცივარში. 15 წუთის  
შემდეგ ნამცხვარი მზად იქ-  
ნება.

## ბაკვეთილი მისამე

### ბრახნიანი ნამცხვარი

ამ ნამცხვრის დასამზადებ-  
ლად საჭიროა:

200 გრამი არაუანი; 100 გრამ-  
ში კარაქი; 3 ნათალი ჩაის  
ტიქა ფქვილი; ვანილი; ნახე-  
ვარი ჩაის კოვზი სოდა.

### მომზადების წესი

კარაქი წვრილად დაჭერი-  
თ და ცოტახნის მერე, როცა  
შერბილდება, კარგად გათქვი-  
ფეთ. დაუმატეთ არაუანი და  
შეურიეთ ფქვილი ცომს ცო-  
ტა ვანილი უყავით და გაბრ-  
ტყელეთ თითის სიმსხომდე.  
მოაყარეთ სოდა და მოყეცეთ



ოთხად. ისევ გააბრტყელეთ და  
ახლა ექვსად მოყეცეთ. ცომი  
მაცივარში შედგით ერთი სა-  
ათით.

მაცივიდან რომ გამოი-  
ღებთ, გააბრტყელეთ დაახლო-  
ებით 1 სანტიმეტრის სისქემ-  
დე. დაჭერი-თ ნებისმიერ ნაქ-  
რებად. შედგით ღუმელში და  
გამოაცხვეთ ზომიერ სიმბურ-  
ვალში. ნამცხვარი ცხელივე  
ამოავლეთ ვანილიან შაქრის  
პუდრში და ცალ-ცალკე დაწ-  
უვეთ ლანგარზე.

ლილია სსრბაძე.



ავტომანქანის გაცვეთილი სა-  
ბურავის გამოყენება ათასგვა-  
რად შეიძლება: ამის თაობაზე  
არაერთხელ დაგვწერია. ახლა  
გთავაზობთ კიდევ რამდენიმე  
ჩრევა-დარიგებას.

შემოს ნაპობს თუ საბურავ-  
ში ჩადებ ჩეხვა გაგაადვილ-  
დება.



ძველი საბურავი თუ მას პა-  
ტარ-პატარა ნახვრეტებს გაუ-  
კეთებ, ზედსაწყო იარაღის შე-  
სანახად გამოგადგება.




საბურავი წინილებისათვის  
პატარა ვოლიერადაც შეგიძ-  
ლია გამოიყენო.



საბურავის გადაწკრიდან  
წვრილი ხელსაწყოების სატა-  
რებელ „ჩანთასაც“ აკეთებენ.




ფიცრის საურდენზე მიჭედე-  
ბული საბურავის გადანაჭერზე  
შეგიძლია ველოსიპედი მიაყე-  
ნო.



საბურავი და ზედ დადებუ-  
ლი ფიცარი შესანიშნავი  
ელექტროსაპროტექციო საშუა-  
ლებაა.



საბურავს მანქანების გადა-  
აბმელადაც იყენებენ



ციგურებიან ფეხსაცმელებს  
ზაფხულში კარგად შეინახავს  
რეზინის „ფუტლარი“.



ლაქიანი ან საღებავიანი ქილა  
არ დაიდვრება, თუ მას ასეთ  
სამაგარს გაუყეობ.










10-15 დღე. მორწყვა შეიძლება დარგვიდან სამი დღის შემდეგ.

კაქტუსი ადვილად მრავლდება თესლით, კალმებით და მყნობით. კაქტუსების თესლის დასათესავად უპირველეს ყოვლისა უნდა მომზადდეს შესაფერისი ნიადაგი.

კაქტუსების თესლისათვის ყველაზე კარგ ნიადაგად ითვლება თახამარი რაოდენობის ტყის მიწისა და მსხვილი სილის ნარევი. უკეთესია, თუ ამ ნარევს მიუმატებთ ცოტაოდენ (ერთ მესამედამდე) დანაყილ ხის ნახშირს. ნიადაგს ჩავეყრით გახვრეტილირიან ბრტყელ ქოთანში ან დაბალ ყუთში. მოვასწორებთ ზედაპირს, ოდნავ დავეტკეპნით და შემდეგ მოვაყრით გაცრილ მიწას.



დაკალმება

ასეთ ზედაპირზე განვალაგებთ თესლს და ზემოდან მოვაფენთ სილისა და დანაყილი ხის ნახშირის გაცრილ ნარევს. თესლზე მოყრილი ფენა თვით თესლზე სქელი არ უნდა იყოს, წინააღმდეგ შემთხვევაში თესლი არ გალივდება და დაილუპება. ყოველივე ამის შემდეგ ნათესს საპკურებით უნდა მოვასხათ წყალი, დავაფაროთ მინა და დავდგათ სინათლეზე (მაგრამ არა მცხუნვარე მზეზე).

კაქტუსის თესლის გალივებისათვის საჭირო სითბო 20 გრადუსზე ნაკლები არ უნდა იყოს. ეპიფელიუმის თესლი ერთი დღის შემდეგ ღივდება, სხვა სახეობის კაქტუსების თესლს ექვსი, ხან კი თხუთმეტი დღე სჭირდება.

ალმოცენებიდან ერთი თვის მერე ნათესარები გადაირგვება სხვა ქოთნებში. ამასთან საჭიროა, რომ მანძილი ნათესარებს შორის იყოს ორორი სანტიმეტრი. გადარგვის დროს ნორჩ კაქტუსებს ფესვებს ოდნავ აწიწქნიან. ნათესარების გადარგვა ხდება ჩხირებით ან პინცეტით. გადარგვის დროს საჭიროა ნათესარებს ვაჟყვეს თავისივე მიწის პატარა კოშტი და ლებნებამდე ჩაირგოს წინას-

წარ მომზადებულ პატარ-პატარა ორმოებში. ახალდარგულ კაქტუსებს, მათი დაღობის თავიდან ასაცილებლად, ორ დღემდე არ რწყავენ, ამიტომ საჭიროა ისინი ძლიერ მზეს მოვარიდოთ. დიდი სიცხეების დროს კაქტუსებს წყალს ასხურებენ საპკურებლით.


მზეში მცენარის მორწყვა არ შეიძლება, რადგან წყლის წვეთი გამადიდებელი შუშის მსგავსად კრებს მზის სხივებს და წვავს მცენარის კანს. დამწვარი ადგილიდან კაქტუსის რბილ ქსოვილში ადვილად შეიძლება მოხვდეს ბაქტერიები ან ობის სოკოების სპორები.

ამასთანავე თვალყური უნდა ვადევნოთ იმასაც, რომ ნიადაგის ზედაპირზე არ გამრავლდნენ ხავსები და წყალმცენარეები, რადგან ისინი ამკვრივებენ ნიადაგს და ხელს უშლიან ფესვების სუნთქვას.

ასეთნაირად გაზრდილი კაქტუსები ცალკე პატარა ქოთნებში გადაირგვება ერთი-ორი წლის შემდეგ.

თუ ვერ შესძელით კაქტუსის თესლის მიღება და მისი დათესვა, გული არ გაიტეხოთ — კაქტუსი შეგიძლიათ გაამრავლოთ სხვა ხერხითაც.

ზოგიერთი სახეობის კაქტუსზე ვითარდება ამონაყრები, რომლებიც ადვილად შეიძლება მოვამტვრიოთ. ან მოვკრათ უსაფრთხო სამართებლით. იმ კაქტუსებს, რომლებიც არ იძლევიან გვერდით ამონაყრებს, აქირიან წვერს, ბურთულეებისებრ ექინოკაქტუსებს კი ზედა ნახევარს, მაშლაირებს აგლეჯენ დვრილებს. კაქტუსის წვერი (კალამი) შეიძლება ავკრათ მხოლოდ მისი ზრდის დროს, ე. ი. ივნისიდან სექტემბრამდე, ხოლო ამონაყრები გაზაფხულზეც შე-




მყნობა

იძლება მოვამტვრიოთ. კაქტუსის მოჭრილ კალამს აშრობენ საშრობი ქალაღლით, გადანაჭერს აყრიან დანაყილ ხის ნახშირს ან გოგირდის ფხვნილს და დაწოლილ მდგომარეობაში თბილ ადგილას, ჩრდილში დე-

ბენ ორი-სამი დღით.

იმ მცენარეს, რომელსაც უმჯობესად აეჭრა, დამენ მზეზე. უმჯობესად უმჯობესად თხევებაში საჭიროა გადანაჭერს მოეყაროს ცოტაოდენი დანაყილი ხის ნახშირი ან გოგირდი.

მეხუთე დღეს კაქტუსის კალმებს გადანაჭერის მხრიდან ათავსებენ ნახშირნარევ სუფთა ქვიშაზე. ქვიშას



ჩითილების გადარგვა

ოდნავ ატენიანებენ. მაღალი კალმების წაქცევის თავიდან ასაცილებლად, მათ უყენებენ პატარ-პატარა ბოძიკნეტებს. ქოთანს ზემოდან ეხურება მინის ქილა, რომელიც გარკვეული დროით ყოველდღე უნდა მოეხადოს. თორმეტიდღე დღის შემდეგ კალმები დაფესვიანებას იწყებენ, ამ დროს ქოთანს მინის ქილას სულ ვხდით და ნიადაგსაც უფრო შეტად ვატენიანებთ.

კალმები უნდა მოვათავსოთ თბილ და ნათელ ადგილას, მაგრამ დავიფაროთ მეტისმეტი მზისაგან. რამდენიმე ხნის შემდეგ კაქტუსის ამ პატარა ნაჭრებისაგან გაიზრდებიან მთლიანი კაქტუსები. თუ კალამი ყვავილობაში მყოფი კაქტუსისაგან არის აჭრილი, მაშინ მისგან განვითარებული პატარა მცენარეც მალე აყვავდება.

კაქტუსის მყნობას მიმართავენ იმ შემთხვევაში, როცა სურთ გადაარჩინონ დასაღუბად განწირული კაქტუსი. სურთ დააჩქარონ კაქტუსის ზრდა და ყვავილობა, სურთ ერთადერთი სახეობის კაქტუსისაგან მიიღონ რამდენიმე ეგზემპლარი, დ. იმ შემთხვევაში, როცა იშვიათი სახეობის კაქტუსი თავისი სუსტი ფესვთა სისტემის გამო ვერ ხარობს არსებულ გარემოში. ამ შემთხვევაში, მას ამყნობენ უფრო გამძლე და ძლიერი ფესვების კაქტუსზე.





**ანჩისხატის  
ქალაქი**  
პასუხი № 2-ში  
დასმულ კითხვებზე

1973 წლის „პიონერის“ მეორე ნომერში ფოტოსურათზე გამოსახული იყო ანჩისხატის ეკლესია და სამრეკლო კარიბჭე. ანჩისხატი მდებარეობდა ქალაქის უძველეს უბანში. თბილისი თავისი ქალაქობის პირველ საუკუნეში შედგებოდა სამი ნაწილისაგან: თვით თბილისი (ტფილისი), კალა და ისანი. თბილისი და კალა მდინარე მტკვრის მარჯვენა ნაპირზე მდებარეობდნენ, ისანი კი მდინარის მარცხენა ნაპირზე. პოდა აი. ანჩისხატის ეკლესია სწორედ კალაში დგას, მტკვრის ახლოს (ამჟამად შავთელის ქუჩაზე).

ანჩისხატის ეკლესია ჩვენი ქალაქის ერთ-ერთი უძველესი და უმნიშვნელოვანესი ხუროთმოძღვრული ძეგლია. იგი აგებულია ვახტანგ გორგასალის მეგვიდრის — დაჩი უჯარმელის მეფობის დროს, VI საუკუნეში. ეკლესია ნაგებია

ქვით, ხოლო მისი კედლების პერანგის მოსაპირკეთებლად გამოყენებულია დიდი და პატარა ზომის ტუფის ქვის კვადრები.

ეკლესიის თავდაპირველი სახელი არაა ცნობილი. ზოგი მკვლევარი მას „ზარის ეკლესიას“ უწოდებს. XVII საუკუნეში სამხრეთ საქართველოში (კლარჯეთში, ამჟამად თურქეთის ტერიტორიაზე) მდებარე ანჩის ეკლესიიდან გადმოსვენეს „პირი ღვთის ხატი“ და ამ ტაძარში დაასვენეს. ამის შემდეგ ეკლესიამ აღნიშნული ხატის გამო მიიღო თავისი ამჟამინდელი სახელი — „ანჩისხატი“, ხოლო ადგილს, სადაც ანჩისხატის ეკლესია დგას, ანჩისხატის უბანი დაერქვა.

ანჩის ხატი — „პირი ღვთისა“ მოჭედილია XII საუკუნის ცნობილი ქართველი ოქრომჭედლის ბექა ოპიზარის მიერ. (ამჟამად ხატი ინახება ქართული ხელოვნების სახელმწიფო მუზეუმში).

ანჩისხატის ეკლესია სამნავიანი უგუმბათო ბაზილიკაა. ნავი ეწოდება ბაზილიკის ერთ-ერთ გრძივ ნაწილთაგანს, რომელიც გამოყოფილია სვეტების რიგებით, ბაზილიკა კი ბერძნული სიტყვაა და გრძივ ნაწილებად (ნაგებად) გამოყოფილ შენობას ნიშნავს, რომელთაგან შუა შედარებით მაღალია და ნათდება მის ზედა ნაწილში მოთავსებული სარკმელებით.

ფოტოსურათზე აღბეჭდილია ეკლესიის სამრეკლო, რომელიც ეკლესიასთან შედარებით უფრო გვიანი ხანისაა (XVII საუკუნე). ტაძრის სამრეკლოს კარიბჭის თავზე მოთავსებული წარწერა მოგვითხრობს, რომ „ქრუნ ქრისტეს მიერ კურთხეულმან ბატონიშვილმან კათალიკოზმან დომენტიმ აღვაშენე სამრეკლო ესე და განვახალე ტაძარი ესე სულისა ჩემისა საოხად მეფობასა ქართლს შაჰნავაზისასა, ქორთონიკონსა ტნივ“.

აღნიშნული წარწერიდან ირკვევა რომ დომენტი II ქაიხოსრო მუხრან ბატონის ძეს (1660-1675 წ.წ.) ქართლის მეფე

ვახტანგ V (შაჰნავაზად უწოდებულს) დროს აუგია სამრეკლო, ხოლო ეკლესია შეუკეთებია — განუახლებია.

ეკლესიისაგან განსხვავებით, სამრეკლო ნაგებია ქართული აგურით, ხოლო თვით სამრეკლოს ის ნაწილი, სადაც ზარი ევიდა, ქვისაა. სამრეკლო ორ სართულიანია; პირველი სართული საცხოვრებელი ოთახია, მეორეში კი თვით სამრეკლოა მოთავსებული. სამრეკლოზე ასვლა შეიძლებოდა კედელში დატანებული კიბით.

სამრეკლო თავისი ისრისებური კამარებით წარმოადგენს ტიპური გვიანფეოდალური ხანის ქართულ ხუროთმოძღვრულ ძეგლს.

1958 წელს, თბილისის 1500 წლის-თავის საიუბილეო თარიღთან დაკავშირებით, ანჩისხატის ეკლესიაში ჩატარდა სარესტავრაციო-აღდგენითი სამუშაოები. ეკლესიის გარეთა და შიდა ნაწილი გაიწმინდა მოგვიანო ხანის შელესილობისაგან. გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა კედელი, რომელსაც ნათლად ეტყობა სხვადასხვა დროისა და ხანის აღდგენითი სამუშაოთა კვალი.

ეკლესიის შიდა კედლების გაწმენდის შემდეგ გამოჩნდა XVII საუკუნის კედლის მხატვრობის შემორჩენილი ნაწილი. ტაძრის კედლებზე მოხატული სცენები ასახავენ ქრისტეს ლეგენდარული ცხოვრების ეპიზოდებს.

ძველ საქართველოში სკოლების მაგივრობას ეწოდებენ ეკლესია-მონასტრებთან არსებული სასულიერო სასწავლებლები. ასეთი სასწავლებელი იყო ანჩისხატის ეკლესიასთანაც. იქ ქართველი თავად-აზნაურობის შვილები სწავლობდნენ.

ანჩისხატის ეკლესიაში დიდი შემოქმედებითი სამუშაოებიც სრულდებოდა. აქ მოღვაწეობდნენ გამოჩენილი ქართველი მწერალ-მწიგნობარნი, მხატვარ-მომხატველნი, მგალობელნი.

ნიკოლოზ კათალიკოზის (1675-1701 წ.წ.) ბრძანებით და დაავლებით ანჩისხატელმა გადამწერებმა და მხატვ-

რეაქციული  
ავიაციის  
მიტოვა



სატურნი  
ცხელი  
კლანდა  
ყოფილა

შვედმა მეცნიერმა ტორსტონმა შექმნა აპარატი, რომლის საშუალებითაც გამოირკვა, რომ მერცხალი ოთხი კილომეტრის სიმაღლეზე დაფრინავს. ამ ამბავმა დიდად განაცვიფრა ორნითოლოგები: აქამდე ასე ეგონათ — მერცხალი 800 მეტრზე მაღლა ვეღარ ფრენსო.

ამერიკელ მეცნიერთა რადიოასტრონომიული დაკვირვებებით დადგინდა, რომ სატურნის ატმოსფეროს ქვედა ფენების ტემპერატურა პლუს 115-271 გრადუსის ფარგლებში მერყეობს. დღემდე კი სულ სხვა შეხედულება იყო გაბატონებული — ამ ფენების ტემპერატურა ნულ გრადუსზე საკმაოდ დაბალია. სინამდვილეში, თურმე, „ცივი“ სატურნი „ცხელი“ ყოფილა.

**მოზინაუარაგული ნინავი**

საყოველთაო აზრით, ნინავი ქველაზე გონებაჩლუნგი არსებია, თანაც იგი არაბგუით არ მოთვინიერდება. „ეს ცილისწამებაა!“ — უპასუხებს ამ ბრალდებაზე ავსტრიელი იოჰან გრამანიჩი. მისი მტკიცებით, ნინავი შეიძლება ვაქციოთ უწინარე შინაურ ცხოველად. გრამანიჩმა ათი წლის წინათ შეიძინა ოცდაათი სანტიმეტრი სიგრძის ჩვილი ნინავი და მას ჭოკი დაარქვა. ჭოკი გაიზარდა, მაგრამ პატრონთან წინანდებურადვე ალერსიანია. ორივენი ერთად მისცინობენ ხოლმე მახლობელი ნაკადულისაკენ, ერთად ბანაობენ.

— ნინავი ძალიან მგრძობობიარეა ალერსის მიმართ, — ამბობს გრამანიჩი, — მაგრამ, აბა, თუ ვინმეს გამოუჩენია მისდამი სიყვარული?




რებმა გადასწერეს და მოხატეს გულანი (სასულიერო ხასიათის წიგნი) და ბევრი ძველი საგალობელი, რომელთაც დიდი მნიშვნელობა ჰქონდათ და აქვთ ძველი ქართული კულტურის ისტორიის შესწავლისათვის.

დღეს ანჩისხატის ეკლესიაში წირვა-ლოცვა არ წარმოებს.

ანჩისხატის ეკლესია, როგორც ერთ-ერთი ადრეული ქართული ხუროთმოძღვრული ძეგლი, სახელმწიფოს მიერაა დაცული.

თ. ბარიძე,

ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.



# იცნო თუ კაკ უნეს მოხანი მხაჯის?



დააკვირდით ფოტოს და მოგვხარათ რა იცნოთ ამ ცინე-სინემაგარის შესახებ.



## წითელი ფარი და მოლაუბაზი

ნიუ-იორკის ხელისუფლებმა გადაწყვიტეს სატელეფონო ჯიხურები შიგნიდან კაშკაშა წითელი ფერით შეადგინონ. ალბათ იკითხვთ: რატომ? საქმე ის არის, რომ როგორც ფსიქოლოგები ამტკიცებენ, წითელი ფერი არასასიამოვნოდ მოქმედებს ნერვებზე და, თვით უველაზე გამოუსწორებელი მოლაუბენიც კი იჩქარებენ, რაც შეიძლება ლაკონურად ილაპარაკონ და მალე გამოვიდნენ ჯიხურიდან.

ზე და, თვით უველაზე გამოუსწორებელი მოლაუბენიც კი იჩქარებენ, რაც შეიძლება ლაკონურად ილაპარაკონ და მალე გამოვიდნენ ჯიხურიდან.

## ავტომობილები ხოცავენ ავაზებს

ნიუ-იორკის ზოპარკის დირექტორმა ვეტერინარების რაზმი გამოიძახა. საქმე ის იყო, რომ ავაზები და ვეფხვები ავად გახდნენ: მადა დაკარგეს და დღე-ღამეში ოც-ოცი საათი ეძინათ.

ეს ცხოველები ძალზე ძვირად ფასობს, ამიტომ ყოველნაირად ეცადნენ მათს გადარჩენას, მაგრამ ამაოდ — ისინი დაიხოცნენ. მათ ღომები და იაგურებიც მიჰყვნენ. რაიმე ეპიდემია ხომ არ იყოს ეს? — ამ კითხვაზე ვეტერინარებმა ვერ გასცეს პასუხი.

საქმეში პათოლოგანატომები ჩაერივნენ და დამტკიცეს, რომ ნადირები დაიღუპნენ ავტომობილების მიერ გამობოლქვილი გაზების ქარბად დაგროვების შედეგად: ამ გაზებში შემავალი ტყვიის და თუთიის ნაერთმა იმსხვერპლა მტაცებლები.

## უშიშრად იცურავენ...

პოლონეთში დამზადეს საბანაო კოსტიუმი, რომელიც მაშველი რგოლის მოვალეობასაც ასრულებს. დავაქვით თუ არა თითის მის ღილაკს, ამ კოსტიუმზე მიმაგრებული პაკეტი მუხსვე გაიბერება და ჩაძირვის საშიშროება აგწორდება. იმ შემთხვევაში კი, თუ მოცურავემ გრძნობა დაკარგა და იძირება, ღილაკი ჰაერის დაწოლის შედეგად, ავტომატურად ამუშავდება.





# ქვე პიროვნება პროცეს...

ახლა ძნელი დასადგენია საიდან და როდის გაჩნდა პირველ აპრილს ნაცნობ-მეგობართა „კეთილი მოტყუილები“ ჩვევა. ზოგი ფიქრობს, ეს ჩვევა შუა საუკუნეებიდან მოდისო. იმ ეპოქაში საიდუმლო დღესასწაულების დროს (რომელიც ხშირად აპრილს ემთხვევა) რელიგიურ წარმოდგენებზე სალაღობო.

სახუმარო, ერთმანეთის გასაბიჯებრებელ სცენებს მართავდნენ. ზოგი კი ამ ჩვეულებაში აპრილის ცვალებად ამინდზე მიანიშნებას ხედავენ. დღეს წარმოუდგენელია პირველ აპრილს სამეცნიერო-პოპულარული უურნალის მიღება, რომელშიც ფერადი გარეკანის შიგნით მხოლოდ ცარიელი, თეთრი ფურცლები

ბი იქნება აკინძული. ასეთი ხუმრობა კი ძალიან გავრცელებული იყო XVIII საუკუნეში. ერთხელ, პეტერბურგში გასტროლებზე მყოფმა გერმანელმა მსახიობებმა პეტრე პირველი და მისი ამაღაც კი გააცურეს. პირველ აპრილს თეატრი ხალხით იყო გაქვდილი. როცა ფარდა აიწია, განცვიფრებულმა მაყურებლებმა პირი დააღეს: სცენაზე მსახიობების ნაცვლად უზარმაზარი ტრანსპარანტი იყო. ზედ ეწერა — „დღეს პირველი აპრილია“. ამბობენ, პეტრე პირველმა მსახიობებს ეს „ხუმრობა“ აპატიოა. საფრანგეთში პირველი აპრილის ხუმრობას „პუასონ დარვილი“ — „აპრილის თევზი“ ჰქვია. თუ-

რმე მეზადური აპრილში ხშირად ხელცართულნი ბრუნდებოდნენ. ზოგიერთი და ხუმრობასაც ეს დედო საფუძვლადო. ინგლისში საპრილო ხუმრობას შეარქვეს „ეიპრილ ფუულ“ — „აპრილის სულელი“. ინგლისში ერთხელ ასეთი შემთხვევა მოხდა: 1848 წელს #1 მარტს გაზეთი „ირვინგ სტარი“ იუწყებოდა — „პირველ აპრილს ლონდონის გარეუბანში შედგება სახედრების გრანდიოზული გამოფენა“. მეორე დღეს უამრავი ლონდონელი გაეშურა გაზეთის მიერ მითითებული ადგილისაკენ. მხოლოდ კარგა ხნის შემდეგ მიხვდნენ ისინი, რომ ეს გაზეთის საპრილო ტყუილი იყო.

## ს ა კ ი ე ბ ე ლ ი

შამფრიანი ს. — საგაზაფხულო (ლექსი)... გარეკ.	2	ვოლკოვი ა. — რაოდენ დიდია დედამიწა (წერილი)	21
სახვაძე ე. — „აჩუქე ადამიანებს სიხარული“ (ნარკვევი)	1	სილამონიძე ვ. — თედო ლილოელი (წერილი)	22
პრილეუაევა მ. — ვანეევის საწოლთან (ნაწყვეტი მოთხრობიდან „ლენინის ცხოვრება“)	4	გიგაშვილი შ. — სახარე (მოთხრობა)	24
ძერია რ. — ფოლადური, სარკინეთი, მადნეულერი (ინტერვიუ)	4	გამოგადგები	26
აბდელანი ს. — კახაბერის ხელისგული (ლექსი)	5	ბუნების კარი	28
ტაბაღა ზ. — მარდისის მკვიდრნი (ფანტასტიკური მოთხრობა)	8	იცნობ თუ არა შენს მშობლიურ მხარეს?	30
შარატი ს. — რენტგენის სხივები (მოთხრობა, თარგმანი)	9	ჯადოსნური სარკე	30
		სპორტი	3
	16	ცხრაკლიტული	3

გარეკანის 1-ლი გვერდის მხატვრობა — ზურაბ მამხარიაშვილი.

მთავარი რედაქტორი ბაბუღია შვილი.  
 სარედაქციო კოლეგია: შოთა ბაბუღია, ნოდარ გუგუშვილი, შოთა დვინაძე, სიკარო კლდიაშვილი, მურმან ლევაშვილი, ზურაბ ლევაშვილი (პ/მგ. მდივანი), მარიკანი, თინათინა სამსონაძე, გიორგი ფოცხვიანი (მხატვარი-რედაქტორი).

რედაქციის მისამართი: თბილისი, ლენინის ქ. № 14. ტელეფონები: რედაქტორის — 93-97-05 93-31-81 პ/მგ. მდივნის 93-97-08 93-53-05 განყოფილებების — 93-97-02 93-97-01

საქ. კაცის გამომცემლობის სტამბა თბილისი ლენინის ქ. № 14. «ПИОНЕРИ» на грузинском языке. Издательство ЦК КП Грузии. Типография изд-ва ЦК КП Грузии. Тбилиси, ул. Ленина № 14. გადაეცემა ასაწყობად 18/II-78 წ. ხელმოწერილია დასაბეჭდად 26/III-73 წ. ქალაქის ფორმატი 60X90/4. ფიზიკური ნაბეჭდი ფურცელი 4. სალაროცნობი-საგამომცემლო თანხი 4,19. შეჯ. № 627. ტირ. 135.500. უფ. 01808.


რედაქციაში შემოსული მასალები ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისში მცხოვრებ ავტორებს პასუხი წერილობით არ ეცნობებათ.





# ბრძანება ხემა

ხტომებს თქვენ ჭერ კიდე უმცროს კლასებში ფიზიკულტურის გაკვეთილზე სწავლობდით. თვით სულ უბრალო გასართობი ხტომებიც კი შემდგომ მშობნორმატივების ჩაბარებაში შეგიწყობთ ხელს. ხტომა კარგად ავარჯიშებს ორგანიზმს, მოქნილს,




ძლიერსა და სწრაფს ხდის ადამიანს. ამასთანავე, შემდგომ სპორტში ვარჯიშისათვის მოამზადებს თქვენს სხეულს.

კარგად ხტომის დაუფლება არც თუ იოლი საქმეა — დიდი შრომაა საჭირო. დააკვირდით ამ ნახატებს: ზედაზე — სიმაღლეზე ხტომა გამოსახული. შუაზე — ადგილიდან სიგრძეზე ხტომის ელემენტებია მოცემული. ქვედა ნახატზე კი სიგრძე

ძეზე გამორბენით ხტომების ფაზებია. შეეცადეთ ზუსტად გაიმეოროთ ეს მოძრაობები. პირველად ბევრს ნუ იხტუნებთ.

ხტომას თანდათან უნდა შეეჩვიოთ. თუ კუნთები გეტკინოთ, ნუ შეშინდებით, ტკივილი მალე გაგივლით.



## კ რ მ ს ვ ო რ დ ი

შპეულებად: 1. გამოჩენილი ფიზიკოსი; 2. ძველი თბილისის კუთხე; 3. შრომის იარაღი; 4. ფრინველის კამარა; 5. პ. ლორიას რომანი; 7. ლენინური გაზეთი; 8. გამოჩენილი გერმანელი ფიზიკოსი; 10. ქალაქი საბჭოთა კავშირში; 11. გამოჩენილი საბჭოთა ფიზიკოსი; 12. ხილი; 13. უარყოფის

ნაწილაკი; 15. სოფელი იმერეთში; 16. ქალის სახელი; 17. შინაური ფრინველი; 18. მცენარე; 20. კუნძული ინდონეზიაში; 24. მწერი; 25. ნელი ქარი, ანუ?.. 27. გერმანელი მეცნიერი; 28. გერმანელი მწერალი; 30. მდინარე დუნაის ძველი სახელწოდება; 32. ხილი; 34. ჭრილობა, ანუ?.. 35. ხალხი,

ანუ... 37. კანფეტი; 38. მსღებელთა ჯგუფი, ანუ?

თარბულებად: 1. გამოჩენილი რუსი ფიზიკოსი; 3. ხილი; 5. ბოსტნეული; 6. სახელმწიფო აზიაში; 8. ვიეტნამის დედაქალაქი; 9. „დარისპანის გასაჭირის“ მოქმედი პირი; 11. გამოჩენილი იტალიელი ფიზიკოსი; 12. სახელმწიფო ამერიკაში; 14. მტაცებელი ცხოველი; 16. სახელმწიფო აფრიკაში; 17. ქალაქი ევროპაში; 19. შინაური ფრინველი; 21. სახელმწიფო აზიაში; 22. ხილი; 23. იშვიათი ლითონი; 26. წამალი; 28. სახელმწიფო აფრიკაში; 29. ცხოველი; 31. ბოსტნეული; 32. ინდური ფილმი; 33. დადებითად დამუხტული ელექტროდი; 35. სატელეგრაფო ნიშნების ავტორი; 36. სოფელი იმერეთში; 38. მდინარე საბჭოთა კავშირში; 39. კონტინენტი; 40. სახელმწიფო ევროპაში.




რომელი

მოერბება?

სწრაფად განსაზღვრეთ, აქ მოყვანილი თორმეტი ბურთიდან რომლები მოერგება მარცხენა კუთხეში მოთავსებულ თეთრ წრეს.



ამირან მახსიშვილი, ზუსტაფონის რაიონის სოფელ პირველი სვირის საშუალო სკოლის X კლასის მოსწავლე.













# ავტობუსები

საქართველოს  
ავტობუსების  
ინდექსი 1965

1. აღრიცხული ავტობუსი „გაგანაუ“ (გაგანაუ, 1911 წ.), 40-ადგილიანი, ძრავა 4-ცილინდრიანი, 32 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 26 კმ საათში.
2. ავტობუსი ია-4 (სსრკ, იაროსლავლის საავტომობილო ქარხანა, 1928-1932 წ.). 36-ადგილიანი, ძრავა 6-ცილინდრიანი, 73 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 40 კმ.
3. ნახევარკავშირისანი ავტობუსი „ლილანდი“ (ინგლისი, 1930-1933 წ.). 40-ადგილიანი, ძრავა

- 6-ცილინდრიანი, 62 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 60 კმ.
4. ავტობუსები ზის-8 და ზის-16 (სსრკ, 1938-1942 წ.). ძრავა 6-ცილინდრიანი, 73 და 85 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 60 და 65 კმ.
5. ავტობუსი ზის-154 (სსრკ, 1947-1950 წ.), 62 ადგილიანი, ძრავა 4-ცილინდრიანი დიზელი, 100 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 65 კმ.
6. ავტობუსი ლიაზ-677 (სსრკ, 1967-1972 წ.), 80-ადგილიანი, ძრავა 8-ცილინდრიანი, 180 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 70 კმ.
7. ავტობუსი „იპარუსი“ (უნგრეთი, 1970-1972 წ.) დასაჯდომი ადგილი — 40, ძრავა 6-ცილინდრიანი, 170-200 ცხენის ძალიანი, სიჩქარე 80 კმ.



ИНДЕКС